

1999
1934

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

Մընացած



9

მენატები



საპოლიტიკო კრებული

გ ვ თ ხ ე ბ

Ornati

Recueil politique géorgien

08ლისი — აგვისტო

პარიზი

1934 წ.

29 აგვისტო

1924 — 1934 წ.

აქ თავის ქალას მეოცნებეთა ლოკავდა ძალლი
ახალი ღმერთის ძიებით დაღლილს
ნოქავდა თხრილები

ს. თავაძე

სარწმუნოებრივ გატაცებაზე უფრო მაღალი, უფრო მძლავრი იყო
იმის განცდა, რაც დამოუკიდებლობაში მოაბრუნა ჩვენში. და თუ ჩვევ
თხრილები გვნთქავდა, ამ მსხვერპლს უდიდესი სიყვარულით ვიღებდით.
ყველაზე დიდი აგვისტო არის ამ მსხვერპლში.

ათი წელია მას შემდეგ და ათი წელი საქმაო მანძილია, რომ აგვის-
ტოს აჯანყებას დაშვებული თვალებით დაგხედოთ; გულცივად გავსინ-
ჯოთ ის საბედისწერო მიზეზები, რის გამოც ხალხი სდგამდა ამ უდიდესი
მნიშვნელობის, მაგრამ ამავე დროს უაღრესად საბედისწერო ნაბიჯს;
ნაბიჯს, პოლიტიკურად დასაშვებს, მორალურად გამართლებულს, ერო-
ვნული ღირსების საზრისით სწორს, მაგრამ ჩვენს პირობებში და ქარ-
თული ინტერესებისათვის მიზანშეუწონელს, სახიფათოს, დაუშვებელს.

არის მდგომარეობა, როცა გულცივი განსჯა ძნელი მოსახდენია,
ისეთ საკითხშიც, როგორიც არის აჯანყება, როცა სასოწარკვეთა უმა-
ღლეს წერტილს აღწევს, მღელვარება თავდავიწყებამდე მიღის და გინ-
და ფიზიკურ აკტში გამოხატო იმ მაღალ მისწრაფებისადმი თავგანწი-
რება, რომელსაც მტერი აღმინდეს.. რუსეთის ძალმომრეობაშ უსაზღვრო
ბოლმა დააგროვა ქართველ ხალხში, რაც ციებასავით აბორგებდა მის
სხეულს. ასეთი მდგომარეობა იყო 1921 წ. დამარცხებიდან 1924 წ. აგ-
ვისტომდე. არც შემდეგ შეცვლილა მისი პირობები, პირიჭით, გაუარეს-
და, მაგრამ შემდეგ მას განძრევის თავიც აღარ აქვს...

1921—24 წ... ყველა ის მიზეზები, რაც ეროვნულ აჯანყებას ამზრის გებს, ხორცის ასამს, ძალუმად საგრძნობი და ხელსახები იყო.

აჯანყების მიზეზებზე სხვა და სხვა აზრი იყო და არის, როგორც აქ, ისე საქართველოში. ამის შესახებ ბევრი საბუთებიც არსებობს, მაგრამ ეს საბუთები ჯერხნობით მთლიანად ხელმიუწვდომელია, მაგრამ მისა-წვდომიც რომ იყოს, მისი გამოქვეყნება ამა თუ იმ აზრის დასასაბუთებ-ლად, ღროულიც არაა.

მიუხედავად ამისა, ამ საკითხს მაინც უნდა შევეხოთ. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს აჯანყების მიზეზთა არსი, მისი ატმოსფერო, მისა შინაგანი და საგარეო საწყისები, მისი ფსიქოლოგიური და პოლიტიკური გარემო.

1921წ. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაპყრობა რუსეთის მიერ, ეს იყო ჩვენის მხრივ უდიდესი მარცხი და არა დამარცხება. მარც-ხი უცნაური, უმძიმესი, გამოსუსტორებელი. ჩვენი ისტორია და ქართვე-ლი ხალხის არც ერთი თაობა არ აპატიებს მაშინდელ ხელმძღვანელობას იმ დაუდევრობას. უთაობას. სილაჩრეს, რაც მათ თავდაცვის საქმეში გა-მოიჩინეს. ჩვენი სახელმწიფო ისე დაიპყრო შეტერმა, რომ მსხვერპლის გალებაც ვერ შოვახერხეთ. რუსეთ-საქართველოს ომი რამოდენიმე საე-ულს ითვლის მხოლოდ, მაშინ როცა ათასები უნდა მიგვეცა.... შემდევ ხომ გამოიჩვა, რომ მაგარი წინააღმდეგობით დამაგრება შეიძლებოდა. და რომც ვერ დავმაგრებულიყოთ, ჩვენი ფიზიკური ძალების უკანას-კნელი მარაგი მაინც უნდა გაგველო... ამ ღროინდელი რუსეთი სამოქა-ლაქო ომის და შიმშილით დასნეულებული. სულს ძლიეს ითქვამდა... და ასეთ მომხდურ მტერს მაგარი დარტყმა უთუოდ დააჩინქებდა...

ერს როცა საგარეო საფრთხე უდგას. მაშინ ძალების დაზოგვა და ანგარიში არ არსებობს, რადგან არ არსებობს ეროვნული და სახელმწი-ფოებრივი უბედურება. რომელიც დაპყრობას უდრიდეს. ამბობენ — ეროვნული ოღელვება არ იყო, ხალხმა არ იბრძოლათ. ეს სწორი არაა, მაგრამ თუ ეს ასე იყო, სწორედ აქ არის ჩვენი ხელმძღვანელობის უმაღ-ლესი დანაშაული. რა ხელმძღვანელობა არის ის. რომელიც ერს საგარეო მტრის წინააღმდეგ ვერ დარაზმავს... ვერ აბრძოლებს? ასეთი ხელმძღვა-ნელობა სასჯელის ღირსა და არა ხელმძღვანელობის... ვინ იტყვის, რომ მთავრობას ნდობა არა ჰქონდა, უმრავლესობა არა ჰყავდა, მთელი ერის თანაგრძნობა მასთან არ იყო!.. მაშ რაში იქმნა გამოყენებული ყოველივე ეს?

როცა მტერი ქვეყანას დაეპატრონა, თვითეული ქართველი თავის თავს მწარედ ეკითხებოდა.... რა მოხდა! როგორ დავმარცხდით?... —

ქართველი კაცი არ გრძნობდა თავს დამარცხებულად. ეს გარემოება დღითი დღე ზრდიდა შურის ძიების. ხელმეორედ დაკვრის და გაბრძ-



ლების განწყობილების. აჯანყების მიზეზთა ერთი მთავარი საწყალებელი დან მოდის.

ამას ემატება მეორე: — დამპყრობის პოლიტიკა. მახვილით გაბატონებულმა რუსულმა კომუნიზმა დაიწყო შეჭრა ყველგან: — სკოლაში, მწერლობაში, საზოგადოებაში. ოჯახში, ეს შეჭრა ამავილებდა დაპირისპირების გრძნობას. აფორიაქებდა მოქალაქეობრივი ყოფის ყველა საფუძვლებს, ააფთრებდა თვითეულ მოქალაქის გულს... დაიწყო ხალხმა ტყეში გაჭრა, აქიც მოხელეების თვითნებური გასამართლება, კუთხური აჯანყებები... სვანეთის, მთიულეთის, კახეთის... საერთო ხელმძღვანელობის გარეშე, სტიქიურად, პირდაპირ, უანგარიშოდ. ამ ხანებში კარგა ხნით უკვე შექმნილი იყო სამხედრო ცენტრი და დამკომი. ფარულ ორგანიზაციათა ქსელით დაიფარა მთელი საქართველო. და ეს ქსელი შეტ წილად სამხედრო ხაზით მუშაობდა. ვინც საქართველოში იყო იმ ხანად, ის ალბად კრიგად იცნობს მაშინდელ განწყობილებას. ცივი გასუჯა რომ გული-თქმაში დაიძირა, ახრი რომ ბოლმამ დაპფარა და მთვარეულებით რომ აილანდა მთელი ერი. საქართველომ ამ დროს ქარიშხალის მიერ ატანილ ტალღებივით ღელავდა. და ეს ღელვა ტკივილებისა დაოკებული და უხმო იყო.

სოციალური ყოფის და მოქალაქეობრივი ცხოვრების ის უცნაურა და ველური მსხვერევა, რასაც განიცდიდა ამ ხანებში ქართული სახელ-მწიფოებრივი და ეროვნული სხეული, სხვისთვის ძნელად გასაგები. მაგრამ ჩეენთვის მძიმე და მწვავედ ასატანი, ყოველ-დღიურად ადიდებდა ასაფეთქებელ მასალის ოდნობას. როგორც ვეებერთელა ქარხანის მიერ ყოველდღიურად დამზადებული მილიონი ყუმბარები. ჩეენ დაცეკენეთ მოლიპულ დამზართხე... ქართველი ხალხი სარწმუნოებრივი მიბრჯენილობით ატანილი, დაკვრაზე ფიქრობდა და ყოველ დღე ამის ფარულ სამზადისში იყო.

დაპატიმრება, გადასახლება, სატუსალოებში წამება, გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯა, რომელსაც დაუზოგავად აწარმოებდა დამპყრობი ხელისუფლების პოლიცია. ოდნავ ვერ შეანელა და ვერ მოსტება ეს განწყობილება. ჩეენ რომ ქართულ რეაქციასთან ვექმნებოდა საქმე და არა უცხო. შემოქრილ მტერთან, ვფიქრობ. მაშინ ქართველი ხალხი იარაღს ხელს არ მოჰკიდებდა. ამ ხანებში პოლიტიკური მონობა ისე არ ხუთავდა ჩეენს სულს. ისე არ ალრჩიბდა ჩეენს შინაგან არსებას. ისე არ ამდაბლებდა ჩეენს ეროვნულ ღირსებას, როგორც უცხო ბატონობის უღელი. ეს მიზეზი იყო უთუოდ ყელა დანარჩენ მიზეზთა წინამდობლი, ჩეენი ხალხი რომ აჯანყებისაკენ ისროლა.

აჯანყებისათვის დრო მეტად არა ხელსაყრელ პირობებში იქმნა შერჩეული. ამ ხანებში რუსეთის მდგომარეობა შიგნით და გარედ თანდა-



თან მტკიცდებოდა. ადგილობრივ ჩვენმა მებრძოლმა ხელთძლვანელობაში ბამ ჯეროვანად ვერ დააფასა ეს. მნიშვნელოვანია ის გარემობა, რომ საქართველო ამ დროს მოწყვეტილი იყო მთელ მსოფლიოს. პრესა და რადიო, მეოცე საუკუნის ეს უდიდესი იარაღი, სოციალ-პოლიტიკურ და ერთა-შორისო ვითარებათა საკითხების გარკვევასა და დაფასებაში მოიჭრა და დაიხურა. ქვეყანა დაყრუვდა და დაიბანგა — საზოგადოებრივი აზრი ქვეცნობიერებაში, ვარაუდებში და ჭორებში ბორგავდა. ამას ემატებოდა გადმოხვეწილების პრესა — ცალმხრივი, მიკერძოებული, ყალბი... მთელი ევროპა ჩვენს მხარეზეა, მეორე ინტერნაციონალი და მთელი დემოკრატიული ძალები ჩვენ თანავივრინობს, კომუნისტების დღეები დათვლილია, იბრძოლეთ, გამავრდით... თითოული წერილი, თითოული ცნობა, თითოული ქრონიკა ამ დებულებათა მიხედვით იყო შედგენილი. მართალია, ამ გადმოხვეწილების პრესას მალული ხალხი კითხულობდა უმთავრესად. მაგრამ ყველაფერი ეს გადადიოდა ხალხში უფრო შეფერილად, უფრო გაზიადებულად. მართლა იყო ეს ასე? რასაკირველია, არა. ქართულ საქმეს ევროპის საზოგადოებრივი აზრის მცირე და უმნიშვნელო ნაწილი თანაუგრძნობდა მაშინ და თანაუგრძნობს ეხლაც. ამ ცარიელ თანაგრძნობას მაშინ ჩვენთვის არსებითად დიდი ლირებულება არ ჰქონდა. ეხლა რომ მაშინდელი პრესა გადაიკითხოთ („თავისუფალი საქართველო“, სტამბოლი) ტანში ურუანტელი და გივლით. რა იყო ეს — უვიცობა თუ უთაობა. უთუოდ ორივე ერთად... გადმოხვეწილობაში მყოფ ყოფილ ხელმძღვანელობას გულ - უბრყილოდ სწამდა ან ოცნებობდა, და ამ ოცნებით თავის თავს მათთან მყოფ ქართველობას და იქ ქართველ ხალხს აჯერებდა, რომ საქართველო რამდენიმე თვეში განთავისუფლდება... ერთი თვე — ორი თვე, გაზაფხული, შემოდგომა, ერთი წელი. — ასე უთავბოლოდ ანგარიშობდენ და ვარაუდობდენ. ამას ჰქონდა გავლენა მაშინ ქართველი ხალხის ფსიქოლოგიაზე. ჩვენი ხალხი მაშინ ისეთ პირობებში იყო, რომ უიმედო იმედსაც ერთვეარ ანგარიშში აგდებდა. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ უცხოეთიდან მოტანილი პრესა, საიდუმლო წერილები და სანდო ხალხის მიერ გადმოცემული ამბები ყალბი და უსაფუძლო იყო. მით უმეტეს, მიუხედავად ბევრი მარცხისა, აჯანყებამდე მაინც დიდი ნდობით ეკიდებოდენ აქაურ ყოფილ ხელმძღვანელობას. ყველა ამ მიზეზებს, ურთად აღებულს, ქართველი ხალხი განწირულივით მიჰყავდა აჯანყებისაკენ.

შემცდარია ის შეხედულება, თითქმ ყოფილმა ხელმძღვანელობამ ჩვენს ხალხს უცხოეთიდან აჯანყების იდეა თავზე მოახევია. რომ მთავარი და არსებითი მიზეზები ადგილობრივ არ ყოფილიყო, გარედან ჩვენ ხალხს ასეთ ნაბიჯს ვერავინ გადაადგმევინებდა. მაგრამ როცა ადგილო-

ბრივ ყველა მიზეზები ჭარბად იყო, ყოფილმა ხელმძღვანელობამ უკან-
რესად მავნე როლი ითამაშა: ამ ჭარბ მიზეზებს მან კიდევ თავის მწოდევა
ერთი ზედმეტად მიუმატა. მათ რომ გარკვეულად აჯანყების საწინააღ-
მდევო პოზიცია დაეკავებიათ, დაბეჯითებით გაეფრთხილებიათ ქართ-
ველი ხალხი, რომ მას იარაღისათვის ხელი არ მოკიდა... ეს მაინც ვერ
შეაჩერებდა იმ ხანდარს, რომელიც საქართველოში 29 აგვისტოს ავარდა.
მაგრამ ამით ყოფილი ხელმძღვანელობა თავიდან აიცილებდა იმ დიდ
მორალურ და პოლიტიკურ დანაშაულს, რომლის სიმძინეს ისინი სამა-
რეშიც ვერ მოიცილებენ. ამ ხელმძღვანელობის დასახასიათებლად უად-
გილო არ იქნება ნ. ეორდანიას პატარა წიგნაკი „რა მოხდა“ გავხსენოთ
— აქ იგი სცდილობს აჯანყების უარყოფითი და დადებითი მხარეები
მონახოს. მთელი წიგნაკი ისეა დაწერილი, თითქმ ვიღაც პროვინციელი
გაზეთის თანამშრომელი სწერს სადღაც მომხდარ ამბებზე... უიარალო
ხალხი მეტი გამოვიდა, ვიდრე იარაღიანი, შენიშნავს ეორდანია, და
აჯანყებაც ამან დაამარცხაო. მისი აზრით პირიქით უნდა ყოფილიყო —
და იმოწმებს მარქს(?!). ნოე ეორდანიამ არ იცოდა, რომ ჩვენ ხალხს
იარაღი საქმაო მაშინ არ ჰქონდა, როცა თვითონ სახელმწიფოს სათა-
ვეში ედგა? როცა რუსეთმა დაგვიპყრო და ყველაფერი დავკარგეთ, შე-
მდეგ ვინ მოვცემდა ამ იარაღს?! ეს წიგნაკი იმ განზრახვით არის დაწე-
რილი, რომ თავისი დანაშაული იქ დამარცხებული ხალხისთვის გადაებ-
რალებია... ნ. ეორდანია ნაჩევევია დანაშაული სხვებს გადააბრალოს და
ეს ამ შემთხვევაში გასაკვირი არ არის. მხოლოდ ირაკლი წერეთელი
აუმხედრდა ამ უდარდელი ხალხის პოლიტიკასა და საქმეს. ირ. წერეთე-
ლი — ეს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სინიდისი და
უმაღლესი მორალი, და ჩვენ დავინახეთ, როგორ. მოეცყრენ მას.

აგვისტო-სექტემბრის დღეებში ქართველ ხალხს მარცხი არ უნახავს,
არამედ იგი დამარცხდა. დამარცხდა უთანასწორო ბრძოლაში, მსოფ-
ლიოს მეექვსედ ნაწილთან დატაკებაში, სხვისი იარაღისა და დახმარების
გარეშე. საკუთარი შვილების სისხლს ისროდა იგი ამ დღეებში ყუმბა-
რების მაგივრად. საკუთარი მამებისა და ძმების გულები დაიფარა მან
ჯავშნად და სიმაგრედ, და თუ ეს გულები გაიხვრიტა, ჩვენმა ხალხმა
აქ ქართული ფიცი დადგა. ფიცი ძნელად გასატეხი და ძნელად დასავი-
წყი. მან დღეს კარგად იცის: უცხოეთში მყოფ ხელმძღვანელობის ღი-
რებულება და საკუთარი მტრის სიძლიერე. მისი მომავალი ბრძოლის
მიცემა ბოლმითა და ტკივილებით კი არ იქნება ნაკარნახევი, არამედ
ცივი განსჯითა და ანგარიშით.

„საქართველოს საგარეო პოლიტიკის“ შესახებ

(ისტორია და არა ზღაპარი)

წერილი პირველი

ვინც ქართველი ერის ისტორიას ცოტათი მაინც იცნობს, მისთვის სადავო არ არის ძალი დებულება, რომ საქართველო, ვითარცა სახელმწიფო ერთებრივ-პოლიტიკური არსება, თამარ მეფის ხანას შემდეგ უკვე მოიშალა. საქართველო, რომელიც მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ერთს, მთლიანს სახელმწიფო ებრივ თრგანიზმს წარმოადგენდა, გარეშე და შინაგან მიზეზთა გამო, დაირღვა და დაიშალა. და საქართველოს მაგიერად ჩვენ თვალ წინ ქართველი ერის სახელმწიფოების, ქართველი ერის სამეფოების ისტორია იწყება.

თვით სიტყვა „საქართველო“ სიტყვა „ქართლი“-დანაა წარმოშობილი; ანუ როგორც ძეველად ხმარობდენ: „ყოველი ქართლი“, „ერთობილი ქართლი“, — და აქედან ნაწარმოებია „საქართველო“ და თავდაპირველად იყი გულისხმობდა მიწა-წყალს, „ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“, — ანუ მხარეთ, რომელნიც ქართველთა მოდგმით იყო დასახლებული. რუის-ურბნისის საკულესიო კრებაში მოხსენებულია, რომ ანდრია მოციქულმა შემოიტანა „ქადაგებას სახარებისა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“—ო. პირველადი მნიშვნელობით სიტყვა — საქართველო — ეროვნულ-კულტურულ გარემოცულობას გამოხატავდა და შემდეგ, როცა ქართული ტომები ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ სხეულში მოექცენ, ამ სიტყვას პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი განაღებაც მიეცა.

ორი საუკუნის განმავლობაში საქართველო როგორც ერთიანი სახელმწიფო არამც თუ მარტო კავკასიაში, არამედ მცირე აზიაშიც განსაკუთრებულ როლს თმაშობდა, — და თამარ მეფის დროს, მან აქ პირველი ადგილიც დაიჭირა. ხოლო 1236 წლიდან საქართველოს საზღვრებს განუწყვეტილივ გარეშე მტერი ეხეთქება, რომლის კირთებს ქვეშ ეს ქვეყანა ინგრევა. 1285 წლიდან გიორგი ბრწყინვალემდე (1313 — 1346) საქართველო ვითარცა მთლიანი სახელმწიფო აღარ არსებობდა, ხოლო გიორგი ბრწყინვალემ კვლავ შესძლო მის ნაწილთა გა-



ერთიანება, ოლონდ თემურლენგის შემოსევამ კვლავ დამსხვრიაჲ კავკაცია
და შემდევ მხოლოდ ალექსანდრე პირველი (1414 — 1442) შექტდა
საქართველო მსვ განემთელებია. ხოლო მის შემდევ, გარეშე მტერთა
მუდმივ შემოსევათა გამო და შინაურ ძალთა ცენტრისაგან სრბოლის
წყალობით — საქართველო საბოლოოდ დანაწილდა და მეხუთმეტე
საუკუნეში უკვე დამოუკიდებლად არსებობს: ქართლის სამეფო, კა-
ხეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, და სხვა და სხვა სამთავრო. მეხუთ-
მეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდე საქართველოს გაერთია-
ნება და მთლიანობა აღარ ლირსებია. იყო ქართველი ერი დანაწილე-
ბული რამდენიმე სამეფოდ, არ იყო საქართველოს სამეფო.

თავის თავად ცხადია, რომ თვითეული სამეფო თავის საკუთარ
სახელმწიფოებრივ პოლიტიკას აწარმოებდა და თვითეულს მათგანს
საკუთარი საგარეო პოლიტიკა ჰქონდა. მაშასადამე, ლაპარაკი შაში-
ნდელ „საქართველოს საგარეო პოლიტიკის“ შესახებ შეუძლებელია.
ეს არის ქართული ისტორიული ფაკტი, რომელიც სრულებით არ გან-
სხვავდება იმ ქვეყნების ფაკტისაგან, სადაც პოლიტიკური დანაწილე-
ბა მომხდარა, როგორც მაგალითად: გერმანიაში და იტალიაში.

ის ფაკტი, რომ საქართველო, ესე იყი, ქართველთა ნათესავთა მი-
ერ დასახლებული ქვეყანა, დანაწილებული იყო რამდენიმე სამე-
ფოდ და სამთავროდ იმას არ ნიშნავდა, რომ ქართული ეროვნული
მეობის იდეა არ ასუებობდა ან საქართველოს მთლიანობის იდეა გა-
მჭრალი იყო.. ჩვენი დიდი მეცნიერი და ისტორიკუსი ბატონიშვილი
ვახუშტი (1696 — 1772), რომელმაც ქართველი ერის თავგადასავა-
ლი ზედმიწევნით იცოდა, ამბობს: —

„პირველი, უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხ-
სა, ჰერ-კახსა, რა რჯული ხარ. წამს მოგიგებს, „ქართველი“. მეო-
რედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი იგივ ფარნაოზ პირველისა
მეფისაგან ქმნული: და ჰკითხოს მათ წინ-თქმულთა კაცთა. „რა ენა
და წიგნი უწყი“. მოგიგებს მყის. „ქართული“. რომეთუ არა იტყვის,
არც ჰსჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთა-
სა. არამედ ქართულს: მესამეს, არა-სადამე ვიხილავთ დიდთა შენებუ-
ლთა და ეკვლესია მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძეირ-ფასთა.
რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი, თვინიერ. „ჩვენ მეფე-
მან საქართველოსამან ანუ ქართლისა და აფხაზეთისამან“. რომელთა
ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა, კვალად ესეცა
ნიშანნი არიან, რომელიც უპყრეს მეფესა ქართლისას, ჰერ-კახთა
ყარაია და ლილო, იმერთა ლიხთ მთის იქითი, სამცხისა, ტაშის-კარს
ზეითი შბის - ყურ - ფანავრისამდე, სამხითისა აბოცი და სხვანი. რო-
მელი შიხის ძეთა მიუღეს: არამედ ჭერნი საქმაო არიან აღმოჩენად.

გარნა გლეხთა უწინოთაცა უშეიან ძლიერება გორგასლანისა, დაცი /
აღმაშენებელისა და თამარ მეფისა. გარნა შურითა ურთიერთობა
გარეშე მტერთაგან იქნა განყოფილება. ვითარუა დავითისა და ნაიონ
დავითისა და მათ ქვეითთა „... (საქართველოს ბატონიშვილის ვახუ-
შტის ქორონიკონები — 1201 — 1755წ.)

პირდაპირ გენომსური ათვალისწილი არის აქ გადმოცემული ქართველი ერის ისტორიის არის; ქართველი ერის ეროვნული შეჯებისა და მისი დამახასიათებელი თვისებანი; და იდეოლოგიურად, ეროვნული არსების თეორია, რომელსაც ეკროპაში მხოლოდ უკანასკნელ ხანში ქადაგებდენ.

ქართველ-კულტურული მთლიანობა, რომელიც ასე მკვეთრად
არის ბატონიშვილის მიერ დახასიათებული, მთელი ქართული ძარე-
რის მანძილზე ბრწყინვას, გარნა პოლტიკურადაც არ იყო მკვდარი
საქართველოს მთლიანობის იდეა. ამის მოწამეთა არამც თუ მარტო ლი-
ტერატურული ძეგლები, არამედ ის განუწყვეტილი და დაუზოგველი
ომები, რომელთაც მეფენი აწარმოებდენ ცენტრალური ხელისუფლე-
ბის შესაქმნელად: მაგრამ ეს ცენტრალური ხელისუფლება, მთლიანი
საქართველო ვერ შეიქმნა... — ერთიც უნდა ითქვას: რატომ მაინცა
და მაინც ცენტრალისტური საქართველო უნდა შექმნილიყო? ხომ არ
იყო აუცილებელი ქართველი ერის ისტორია ამ მხრივ საფრანგეთისას
დამზადებოდა და არა გერმანიისას?

ისტორიული ფაქტია. ჩომ ქართველი ერის თქითეული სამეფო — ქართლი, კახეთი, იმერეთი, თუ სხვა სამთავრო, თავის საკუთარ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა და უცხო ძალისადმი დახმარებაში არა-ვითარ ღალატს არა ხედავდა. ასე იყო ყველგან. ჩვენშიაც და ევრო-პაშიც.

ბ-ნმა ნ. ქ.-მ „ბრძოლის ხმის“ (ივნისი, 1934 წ.) 44 №-ში „საქართველოს საგარეო პლოტიკის“ შესახებ წერილი მოათავსა. ავტორმა გვერდი აუხვია ქართველი ერის ისტორიის სინამდვილეს და „საქართველოს“ საგარეო პოლიტიკაზე მსჯელობა დაწყო. თავიდანვე საკითხის ახ ყალბად დასმა, რასაკვირველია, ყალბ დასკვნებს იძლევა.

ჩვენ ერთჯერ კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ისტორიის ჭეშმარი-
ტების მიხედვით შეუძლებელია ვილაპარაკოთ საქართველოს საგარეო
პოლიტიკის შესახებ ალექსანდრე პირველის შემდეგ — მესუთმეტე სა-
უკუნის პირველი ნახევრიდან, — მაგრამ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ქარ-
თლის, კახეთის, იმერეთის, და სხვა სამეფოთა თუ სამთავროთა საგა-
რეო პოლიტიკის შესახებ.

საქართველო არ არსებობდა როგორც სახელმწიფო და ამიტომ არ არსებობდა საქართველოს საგარეო პოლიტიკაც. ჩვენ არ შეგვიძლია ამ



საკითხს არა - მეცნიერულად მივუდგეთ და უურნალისტური იორგონი ცნებანი ვატრიალოთ და გამოვიყენოთ როგორც მოგვეპრიანება!

ყველასათვის ცნობილია: ქართლ-კახეთის სამეფომ (და არა საქართველომ!), ერეკლე მეფემ 1783 წელს რუსეთთან ხელშეკრულება დასდო რომლის ძალით რუსეთი ქართლ-კახეთის მფარველი უნდა ყოფილიყო განსაზღვრულ პირობებში. რუსეთმა ეს ტრაქტატი არ შეასრულა და 1801 წელს ქართლ-კახეთს ანექსია მოუხდინა. ესაა ისტორია.

ეხლა უყურეთ ბ-ნ ნ. ჟ.-ს, ისტორიის როგორ ამახინჯებს და სწერს:

„საქართველო რუსეთის ხელში გადაიქცა სპარს-ოსმალეთის საფრთხობელი იარაღით, რითაც ის აიძულებდა მათ დათმობებს. ხოლო საქართველომ კი სამაგიეროთ ვერ მიიღო ვერავითარი შეღავათი, ვერავითარი დახმარება ვერ მიიღო რუსეთისაგან. იქიდან მოდიოდენ მხოლოდ ბერები, საჩუქრები და ულევი დაპირებანი. ეს აშკარა მაჩვენებელია იმის, რომ ერთი, უძლიერესი, მხარე აწარმოებდა სახელმწიფო პოლიტიკას, ხოლო მეორე, უსუსტესი, არა სახელმწიფო, კერძო ინტერესების პოლიტიკას“.

რატომ არის ს აშკარა მაჩვენებელი და საიდან გამოიტანა ასეთი დასკვნა ბ-ნ ნ. ჟ.-მ? — რუსეთმა მოატყუა, მოალრა ქართლ-კახეთი, — დიდი რუსეთი სახელმწიფო პოლიტიკას აწარმოებდა! — ხოლო პატარა ქართლ-კახეთი, სუსტი, — კერძო ინტერესების პოლიტიკას! მაშ ერეკლე მეორეს ტრაქტატი ყოფილა ხელშეკრულება დადებული ერთი მხრივ სახელმწიფო პოლიტიკის მაწარმოებელ დიდი რუსეთია და კერძო ინტერესების პოლიტიკის მჯონე პატარა ქართლ-კახეთს შორის! ეს კერძო ინტერესები ყოფილა, როგორც სხანს, ქართლკახეთის სამეფოს ინტერესები!

სოქვა რა ასეთი უცნაური რამ, ბ-ნი ნ. ჟ. განაგრძობს: —

„ეს უკანასკნელი მოვლენა დამახასიათებელია მთელი ფეოდალური წესწყობილებისა მთელ ქვეყანაზე. ინგლის-საფრანგეთის კი წლის ომი იყვებებოდა ფრანგ ფეოდალების მიერ ინგლისის მოწვევით შინაურ საქმეებში ჩამოსარევათ თავის მეფის წინააღმდეგ. აქ მეფე, იცავდა თავის საბრძანებელის მთლიანობას. რაიცა ნიშანვდა დაცვას ამავე დროს ნაციონალური ინტერესისა. ფეოდალები კი თავის ოჯახის და ლოკალური ინტერესების მეთაურათ გამოდიოდენ“.

რა შუაშია ეს მაგალითი? რატომ არის აქ ის მოტანილი? ამ მაგალითის მიხედვით ფრანგი ფეოდალები ინგლისის ჯარებს იწვევდენ ფრანგი მეფის წინააღმდეგ, — იცავდენ თავის ფეოდალურ ინტერესებს. რომელთაც მეფე გაერთიანების პოლიტიკით ემუქრებოდა. ჩვენს შემთხვევაში კი რუსეთი მოიწვია არა რომელიმე ფეოდალმა, არა რომელიმე პირმა, ვინც მეფეს ებრძოდა, არამედ თვით მეფემ, ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლემ, და ეს მოწვევა განსაზღვრული ხელშეკრულების მიხედვით. რომელიც ამ ორმა მხარემ, ამ ორმა სახელმწიფომ, კანონიერად ურთიერთ შორის დასდო! რა შედარება შეიძლება აქ ინგლის-სა-

ფრანგეთის აღნიშნულ მაგალითთან? რასაკვირველია, არაეითარო! 
მოახდინა რა ასეთი აბრუნდი ქართულ ისტორიაში, ბ-ნი ნ. ე. ჭერიაშვილის ველ მეფეთაც არა ჰზოგავს და ცილისწამებით იგი მათაც ამათრახებს:

„რაფი საქართველო სავსებით მოექცა ფეოდალურ ურთიერთობაში, რაფი მეფენიც კი ცილიობდენ ერის გაერთიანებას (ერეკლე მეორემ უარი თქვა იმერეთის შემოერთებაზე) და მთლიან სახელმწიფოს საფუძველზე დაყრდნობას, ამით აიშვა დამარღვეველი ელემენტების თარეშობა და მათ დარჩათ ბატონობა“.

უსმინეთ! მეფენიც კი არ ცდილობდენ ერის გაერთიანებას! მეფეთაც კი არ სურდათ მთლიანი სახელმწიფოს საფუძველზე დაყრდნობას! ჯერ ერთი ვიკითხოთ: რომელი გიურ მეფე იტყვის უარს მთლიანი სახელმწიფოს შექმნის შესახებ!, და მთელი ეს შეუჩერებელი ბრძოლანი და ხშირი ომები, რომელთაც მეფენი თავაშვებულ ფეოდალთა წინააღმდეგ აწარმოებდენ, მაშ რაღა ყოფილა ან რისთვის?

ბ-ნი ე. კი ჩვენს მეფეებს გაერთიანების სურვილსაც ართმევს! ბრძანებს, რომ მათ ასეთი სურვილიც არ გამოიუჩნიათ და ერეკლე მეორესაც თვითონ უთქვამს უარი, პირადათ თვითონ, იმერეთის შემოერთებაზე. ვანა დასაშვებია ისტორიის ასე გადამოცემა? სინამდვილეში კი ამბავი ასე მოხდა: — ერეკლეს დროს წარმოიშვა საკითხი ქართველი ერის სამეფოთა და სამთავროთა გაერთიანების შესახებ: ქართლ-კახეთი, იმერეთი, ოდიში და გურია უნდა გაერთიანებულიყვენ. 1792 წელს, სამი დღის განმავლობაში განუწყვეტელი თათბირი ხდებოდა და ბოლოს აღიარებულ იქმნა, რომ საგარეო პირობების გამო ასეთი გაერთიანების გატარება შეუძლებელია, მაგრამ მეგობრობისა და დახმარების აღთქმა მაინც იქმნა დადებული (რაც იმერეთმა კიდეც გაანალიზა კრწანისის ველზე!) აღმრული საკითხის უარყოფითად გადწყვეტაში საგარეო ვითარებამ ითამაშა როლი. ჩვენ შეგვიძლია გაეკარიტიკოთ მოთაბირენი, უარყოთ მათი სიფრთხილე თუ შიში, არ მოვიწონოთ მაშინდელი მდგომარეობის მათ მიერ დაფასება, მაგრამ წავართვათ მათ სურვილიც გაერთიანებისა. — ეს ყოვლად დაუშვებელი დამახინჯება ისტორიისა და ჩვენ მეფეთა შესახები ცილისწამება!

1801 წელს რუსეთმა მოსპონ ქართლ-კახეთის სამეფო: 1810 წელს რუსეთმა დაიკავა იმერეთი და სოლომონ მეორეს ემიგრაციაში აღმოხდა სული; 1829 წელს რუსეთმა მოსპონ გურიის სამთავრო და დედოფალი სოფიო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ოსმალეთის მხრიდან, გულგახეთქილი გარდაიცვალა; 1858 წელს რუსეთმა დაიპყრო სვანეთი და კონსტანტინე დადეშველიანის ფართო მკერდი ტყვიებით დაცხრილეს; 1867 წელს მოსპეს აფხაზეთის სამთავრო: 1868 წელს გააუქმეს სამეგრელოს სამთავრო. ესაა ისტორიული თარიღები.

მაგრამ ბ-ნ ნ. ე.-სთვის ეს ფაქტები არ ასებონ: — მისოვეს არსე-



ბობს მხოლოდ ერთი აკვიატებული დებულება, რომელშიც მას სურათი გამოიყენება — როველი ერის ისტორია ჩასტენოს, ჩასწინელოს და მერმე განაცხადოს: — ქართული ეროვნული საგარეო პოლიტიკა სახალხო რევოლუციური მოძრაობით დაიწყო ესე იგი უნდა ვიფიქროთ, მარქსისტული მოძრაობით ანუ ნოე უორდანიას მოღვაწეობით!

ამ აზრის დასამტკიცებლად ბ-ნი ნ. ე. კვლავ ისტორიის დამახინჯებას მიმართავს და განავრძობს: —

„აღარ იყო ნაციონალური საგარეო პოლიტიკა, გამეფდა ფეოდალური პოლიტიკა. ამით თიხსნება ისიც, თუ რა ხასიათის მოძრაობა გამოიწვია საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობამ. მაშინ როდესაც კახეთში და მთაში მღელვარება დაიწყო. ქართლი სდუმდა, ხოლო იმერეთი შორიდან სეირს უცქერდა. როცა იმერეთი ადგა, ამერეთი სდუმდა. ე. ი. ანგქისიას ერი შეხვდა დაქსაჭულათ, დაბნეულათ, მისი სხვადასხვა ნაწილები სხვა და სხვა ინტერესებით გარემოცული“.

განა ესაა ისტორია?! ესაა სიმართლე?! — ისტორია სხვაგვარია და ასეთი: —

1801 წელს რუსეთმა ქართლ-კახეთი შეიიერთა; ბაგრატიონთა სამეფო ოჯახთა წევრები გადარეკა რუსეთში; სამეფო მოსპეცია; „კახეთის ყველა მცხოვრებნი, სასულიერონი და არა-სასულიერონი“ ამ აკტის გამო რუსეთის მთავრობას წერილობით პროტესტს უცხადებენ; იარაღს ჰკიდებენ ხელს; „რაც რუსები მოვიდენ საქართველოში, იქიდან 1812 წლამდისინ ქართველებმა ექვსი შეთქმა გაუკეთს რუსებს საწინააღმდეგოდ იმათი გარეკვისათვის საქართველოდან“.

აჯანყება აჯანყებას მოჰყვა; მაგრამ პირველი დიდი აჯანყება მოხდა 1804 წ. მთიულეთში, საღაც მთიულებთან ერთად კახელები, ქართლელები და ოსები იბრძოდენ; აჯანყებულებმა იმერეთში გაქცეული ბატონი-შვილები იულონი და ფარნაოზი მოიწვეის; ეს აჯანყება რუსებმა სისხლში ჩაახჩევს; 80 მეთაური გაპკოჭეს და ბატონი-შვილები რუსეთს გადააგდეს. მთიულეთი იბრძოდა, მაგრამ კახეთი და ქართლი არ აჯანყებულა. იმერეთი ამ დროს დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და თავის უბედურ დღეებს განიცდიდა! რუსეთი კარზედ ადგა მას.

მეორე დიდი აჯანყება მოხდა კახეთში 1812 წ. ეს აჯანყება ჯერ მოედო ქიზიყს, მერმე ქართლს, და სამაპმაღიანო ქვეყნებსაც (დალესტანი, შირვანი, ყაზახ-შამშადილი).

აი ფაქტები!

იმერეთი სდუმდაო! — ბრძანებს ნ. ე.

1810 წელს რუსებმა ბრძოლით დაიკავეს იმერეთი და 1812 წ. იყო კახეთის აჯანყება! შეეძლო იმერეთს მაშინ აჯანყება? მაგრამ ამ საკითხს ვინ დაგიდევს?!



იმერეთის აჯანყება მოხდა 1819-20 წწ. — 1819 წ. რიონის პრივატული „თავადების, აზნაურების და რამდენიმე ათასი ხალხის ყრილობაში“ გადასწყვიტა რუსები გარეკონ და თავისი მეფე იორქიონ. აჯანყება აქაც რუსებმა სისხლში ჩაახვეს, ათი მათაური ჩამოახვეს, მრავალი ხიშტზე ააგეს... ამ ღროს აღმოსავლეთი საქართველო, ამერეთი, აჯანყებებით წელგაწყვეტილი, მართლაც სდუმდა, მაგრამ სეირს კი არ უცქეროდა, სასეირო არც ერთი ქართველისთვის ეს არა ყოფილა! ამ დუმილის მიზეზი კი ბ-ნ ნ. ე.-ს სიტყვით თურმე ისა ყოფილა, რომ ერის „სხვა და სხვა ნაწილი სხვა და სხვა ინტერესებით გარემოცული“ ყოფილა! აი სიმართლე და სამართლი!

მაგრამ ერთი აგვისენას ბ-ნმა ნ. ე.-მ შემდეგი გარემოება:

1921 წელს საქართველო იყო მთლიანი, გაერთიანებული, ეროვნულად და სახელმწიფო ბრივად ერთობილი, შედარებით ამ ძველ ხანასთან, რასაკეირველია, გაცილებით უფრო შეგნებული ეროვნული ზრახვებით. 1921 წ. ნოე ჟორდანია სამარცხვინოდ დამარცხდა და უცხოეთში გაიხიზნა; 1922 წ. სვანეთში მოხდა დიდი აჯანყება შემოსეული მტრის წინააღმდეგ, — სვანეთი იარაღით ხელში იბრძოდა, — დანარჩენი საქართველო სდუმდა! ან იქნებ სეირს უყურებდა! ბ-ნ ნ. ე.-ს სიტყვით გამოდის, რომ ქართველი ერი ამ უკანასკნელ დაბყრობას „შეხვდა დაქაჭულათ, მისი სხვა და სხვა ნაწილები სხვა და სხვა ინტერესებით გარემოცული“! შემდეგ: შემდეგ მოხდა ხევსურეთის აჯანყება; ხევსურეთი იბრძოდა და ნადგურდებოდა, დანარჩენი საქართველო კი სდუმდა! ან იქნებ საეირს უცქეროდა! ბ-ნ ნ. ე.-ს სიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერის „სხვა და სხვა ნაწილები სხვა და სხვა ინტერესებით გარემოცული“ ყოფილა! შემდეგ: შემდეგ იყო 1924 წ. დიდი აჯანყება. ყველა მხარეს არ მიულია მონაწილეობა ამ აჯანყებაში.

ჩენ დღემდე საშუალება არა გვქონდა აღგვენიშნა ის სიყალე და ცილისწამება, რომელსაც ბ-ნი ნოე ჟორდანია ამ აჯანყებაში მონაწილე კუთხეების დახასიათების დროს მიმართავს. — თავის წიგნაკში: „რა მოხდა“, რომელიც 1924 წლის აჯანყებას შეეხება, იგი სწერს, რომ ამერი, აღმოსავლეთი საქართველოს შვილი, „ისტორიულათ მიჩვეულია მტრის იარაღით უსწორდებოდეს და ეს სამხედრო კულტურა მას შერჩა. იმერი არ საჭიროებდა ასეთ მუდმივ თავდაცვას, ვინაიდან შორს იყო მტრის შარაგზიდან. თუ გურიაში ხანდახან შემოიჭრებოდა ოსმალო, უფრო კი აქარა-ქობულეთელი, მას უპასუხებდენ არა რეგულიარული ბრძოლით, არამედ ტყეში გახიზენით და პარტიზანული თავდასხმით. *) სამხედრო

* აქ უნდა შევნიშნოთ, რომ წარსულში რეგულიარული ბრძოლა ეხლანდელი გაგებით არც არსებობდა. ვ. ნ.

კულტურა აქ მეტად სუსტია. ამისთვის აქ აჯანყება იღებს დემონსტრაციას ციის ხასიათს „... ერთი სიტყვით: ამერი იბრძოდა იარაღით, ხოლო იმერი, კერძოდ კი გურული, ან ტყეში გარბოდა ან სიმინდი ტაროს თუ ნაქურჩს ისროდა! აბსურდამდე დაყვანით სწორედ ასე გამოდის! ბ-ნი ნოე ეორდანია ისტორიას იმიტომ კი არ მიმართავს, რომ სინამდვილე დაგვანახოს, ჰეშმარიტება გვითხროს, არამედ იმიტომ, რომ გადაამახინჯოს იგი და ასე გადამახინჯებული თავისი აზრის ან მოქმედების, თავისი თავის გამართლების საბუთად გამოიყენოს, — თორემ ქართველი ერის ისტორიას სრულიად ზერელედაც რომ თვალი გადაავლოთ, უნდა შეწუხდეთ იმ სავსებით უსამართლო, ყოვლად შეუსაბამო და შეუწყნარებელი დახსახიათებით, რომლითაც ბ-ნი ნ. ეორდანია იმერეთს და კერძოდ გურიას უმასპინძლდება; ასეთი სიყალბე, ასეთი შეურაცყოფა პირდაპირ აღსაშფოთებელია. მაგრამ დაგუბრუნდეთ საკითხს: —

1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო იმერეთია, სამეგრელომ, გურიამ და სამხედრო რაზებებმა ომოსავლეთში. ბ-ნ. ქ.-ს სიტყვით, უნდა გვეფიქრა, რომ ქართველი ერის „სხვა და სხვა ნაწილები სხვა და სხვა ინტერესებით გარემოცული“ ყოფილია! ეს არის სწორი და ღირსეული დაფასება ეროვნული ბრძოლისა? რასაკვირველია, „სხვა და სხვა ნაწილების სხვა და სხვა ინტერესებით გარემოცულობა“ არა ყოფილი იმისი მიზეზი, რომ იმერეთ - რაჭა - გურიის აჯანყების დროს ამერეთი სდომდა. და სირცეებით სეირის ცერეაზე ლაპარაკი!

თითოეულ ისტორიულ მოვლენას თავისი შინაგანი კავშირი აქვს და ურთიერთობრივი გამოწვევითი მიზეზობრივი დასაბამი და მისი ახსნა ან დაფასება მხოლოდ მისი გასინჯვით; გამორკვევით, გამოკვლევით, ინდუქტიური მიდგომით შეიძლება, — ისტორიაში დედუქტიურ მეთოდით სარგებლობა, განზოგადოება თუ ზოგადი დასკვნების გამოტანა, საშიშია საერთოდ, და ისეთი მწერალის ხელში, როგორიც არის ბ-ნი ნ. ქ. ბოროტების იარაღიც, — ეს ჩეცნ დავინახეთ და კვლავ ვიხილავთ. ეხლავ!

მოექცა რა ასე უდიერად ქართველი ერის ისტორიის ზემოაღნიშნულ ამბებს, ბ-ნი ნ. ქ. თავს დაესხა ქართველი ერის მესვეურობას, მის პოლიტიკურ და კულტურულ ხელმძღვანელობას — თავადაზნაურობას. იგი სწერს: —

„გაბატონებლმა წრეებმა, დიდმა მემამულეებმა დასტოვეს ბაგრატიონთა დინასტია და თავისი ბედი გადაასკვნეს რომანვებს. პენისიები, ჩინები, ორდენები გახდენ მათი მონადირების საშუალებათ. ოჯახურ-წოდებრივი ინტერესი დადგა ერის ინტერესების მაღლა, ე. ი. წინანდელი ფეოდალური პოლიტიკა იქნა გაგრძელებული ახალ პოლიტიკურ ურთიერთობაში. ამ გარემოებამ გარიყა აჯანყებული ტახტის მემკვიდრე და მისი მომხრენი და ისინიც იძულებული გახდენ სპარსეთში სამუდამოთ გადახვეწილიყვენ. ასე დასრულდა გარღვევა ნაციონალური ტახტის და



მართველი წოდების ინტერესების. ხოლო ხალხს ხომ არაფერი ეყოთხეთ
ბოდა, გარდა მორჩილებისა თავთავიანთ მებატონებულისადმი".

ჯერ გაკვრით: რისთვის არის აქ ხალხი მოხსენებული? იქნებ ეს იმის
საყვედლურია, რომ მე18 საუკუნის დასასრულს პლებისციტი არ მოახდი-
ნეს? მაშ რა მოსატანია აქ ეს წინაღადება?

იმ დროის ისტორია კი ასეთი არის: —

1873 წლის ტრაქტატიდან, როგორც ერეკლე მეფე, ისე მისი მემკვი-
დრე და ბევრი სხვა, „გაბატონებული წრეებიდან“ ქართლ-კახეთისათვის
დიდ სარგებლობას მოელოდენ. მაგრამ მალე ბევრისთვის გამოირკვა,
რომ რუსეთი ხელშეკრულებას არ ასრულებდა, ერეკლე მეფეს ატყუ-
ებდა*); ამ მოტყუებამ ბევრს გული გაუტეხა და ამიტომ რუსეთთან და-
მოკიდებულების საკითხი მწვავე საკითხად გარდაიქცა, — განსაკუთ-
რებით მაშინ, ოდეს ერეკლეს მემკვიდრე, გიორგი მეცამეტის დროს,
რუსეთთან ახალ ხელშეკრულებაზე შეიქმნა ლაპარაკი და მოლაპარაკე-
ბაც. — ქართლ-კახეთის ბედის გადაწყვეტის გარშემო თოხი მთავარი პა-
რტია ირაზმებოდა: 1. პარტია, რომელიც რუსეთს სრულიად და კატეგო-
რიულად უარპყოფდა — ალექსანდრე ბატონიშვილი და სხ.; 2. პარტია,
რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგი იყო და რუსეთთან შე-
ერთებას ამჯობინებდა; ეს პარტია იყო მეტად მცირე, მაგრამ დარწმუ-
ნებული, რომ რუსეთი ქვეყანას კეთილდღეობასა და მშვიდობას მო-
უტანდა; 3. პარტია, რომელიც ბატონიშვილ იულონის გარშემო იყრიდა
თვეს; იგი იცავდა ქართლკახეთის სამეფოს და მოითხოვდა 1783 წ. ტრაქ-
ტატის განაღლებას; 4. პარტია ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილ დავი-
თისა, რომელიც გიორგი მე-13-ს წამოწყებულ ხელშეკრულებას, მაშა-
სადამე, ქართლ-კახეთის მეფის უფლებათა შეკვეცას თანხმდებოდა; 5. მო-
ვისენიოთ მცირე პარტია — რესპუბლიკანელებისა, — რომელიც რუ-
სეთსაც უარპყოფდა და რესპუბლიკის დაარსებას ეტრონდა (დუცალ ბა-
რათაშვილი და სხ.).

*) თვით ერეკლე მეფეც იყო ამით შეწუხებული და როგორც გარსე-
ვან ჭავჭავაძის, მისი ელჩის, წერილიდან სჩანს, ელჩის შესახებაც უქმა-
ყოფილებას გამოსთვამდა, რაზეც ელჩი, ამ მეტად საინტერესო გრძელ
წერილში, სხვათა შორის, შემდეგს უპასუხებდა: — რომ რუსები ჯარით
დახმარების შესახებ დაპირებას კვლავ იძლევიან, ხოლო — „თუ. ამისაც.
გვატყუებენ. მე. ალარ. ვიცირა. პირველის. კაცებისაგან. პირდაპირ. ხელ
მწიფის. მაგიერად.... მე. ხომ. ეკვი. ალარ. უნდა მქონდეს. და. თუ. ახლაც.
ალარ. შესრულდება. საქმით. მე. მაინც. ის. თქვენი. ბრძანება. შემისრუ-
ლებია. რამ. შემიტყვია. მოგვეშველებიან. თუ. არა. უნდა ჰსცნათ. და.
რაც. კიდევ. ამას. შ-დ. მებრძანება. მე. ჩემს ცდას. არ .დავაკლებ.“...

რა შეაშშია აქ ბ-ნ ნ. ქ.-ს „გაბატონებული წრეები“, „დიდი მემამულეები“, რომელთაც ვითომ ბაგრატიონების დინასტია დასტოვეს ზო „თბილისი ბედი გადასევნეს რომანოვებს“! ? აქ იდგა სამეფოს, ქვეყნის, ტახტის ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი და ბუნებრივია ის დას-დასობა, რომელიც ამ მწვავე საკითხის გამო დატრიალდა. რა მოსატანია აქ და ისიც ყალბად: „გაბატონებული წრეები“, „დიდი მემამულეები“?! — როგორც დავინახეთ ეს „გაბატონებული წრეები“, ეს „დიდი მემამულეები“ ექვს დასად, ექვს პარტიად არიან გაყოფილი და ეს არის ისტორია და არა ზღაპარი!

„გაბატონებულ წრეებს“, „დიდ მემამულეებს“, როგორც ბ-ნი ნ. ქ. ასე ყალბად სწერს, არ დაუტოვებიათ ბაგრატიონები. როგორც აღვნიშნეთ იყო მხოლოდ მეტად მცირერიცხვანი დასი, რომელიც რუსეთთან სრული გაერთიანების მომხრე იყო, მაგრამ ამ დასიდანაც, როდესაც რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო დასცა და ბაგრატიონები გადარჩეა, ბევრი შემდეგ აჯანყებებში მონაწილეობას ღებულობდა, ხოლო მერმედ, რუსეთის „გამარჯვებისა“ და დამკვიდრების შემდეგ, მას პასიურ წინააღმდეგობას მაინც უშევდენ. განა დამახასიათებელი არაა მთავარ მართებელი პასკევიჩის წერილი 1829 წლისა?: — „მთელ საქართველოში არ არსებობს ისეთი, რომელზეც რუსეთის მთავრობას შეუძლია დაეყრდნოს, გარდა მარტო რუსის ჯარისკაცთა... თავადაზნაურობა არაფრით არ გამოეხმაურა ჩვენს მოწოდებაზე მიღიცის გამოყვანაზე...“

პენსიები, ჩინები, ორდენები მაშინ არ გამხდარა ამ „გაბატონებული წრეების“, ამ „დიდი მემამულების“ მონაღირების საშუალებად; ბევრს, ბევრს, „გაბატონებული წრეებიდან“ ხიშტით გაუმასპინძლდენ, ტყვია მიართვეს და მამულები ჩამოართვეს; ხოლო ამ პენსიების როლი უკვე რუსეთის დამკვიდრების შემდეგ იქმნა გათამაშებული, შემდეგში, და აშკარაა, რომ რუსეთის ერთგულნი და არა მარტო „გაბატონებულნი“ ჩინებსაც ლებულობდენ, ორდენებსაც და პენსიებსაც...

რუსეთის მომაგრებისა და დაკვიდრების შემდეგ, როცა ყოველი აჯანყება დამარცხდა და ცხადი შეიქმნა რუსების გარეკის შეუძლებლობა, — გაბატონებული წრები შეურიგდენ ამას და შექმნილ პირობებში ახალი გზა, ახალი ტაკტიკა აირჩიეს: — ეს ტაკტიკა ყველაზე უფრო მკაფიოდ და სხარტულად დენერალ ივანე აფხაზმა გამოსახა: — საქართველო არ არის იმდენად მომზადებული, რომ რუსების გარეკის შემთხვევაშიც, შესძლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება არსებულ საგარეო პირობებშით, ამიტომ საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა დამოუკიდებლობის მომზადებისათვის ანუ როგორც თვითონ ამბობს: — დრომ უნდა აღადგინოს საქართველოო!

აი, ეს იყო ტაკტიკა იმ ხელმძღვანელ მოაზროვნე და მომქმედ ქარ-
თული გაბატონებული წრეებისა, რომელიც საქართველოს არ გაქცი-



ვიან და ბ-ნი ნ. ჟ. კი ბრძანებს: „ოჯახურ-წოდებრივი ინტერესს შეუზღუდული ერთ გრის ინტერესებზე მაღლა ე. ი. წინანდელი ფეოდალური პოლიტიკა იქნა გაგრძელებული“—ო. გაგონილა ასეთი აკინჭილება. და ცილი?!

მაგრამ ბ-ნი ნ. ჟ. უდარდელად განაგრძობს:

„საქართველოს საგარეო პოლიტიკა საესებით კარგავს ნაციონალურ ელექტროს და ხდება თავადაზნაურობის ინტერესების დაცვათ რუსეთის მთავრობის საშუალებით. ამიტომ საქართველოს ხმა აღარ ისმის არც ერთ საერთაშორისო გართულებაში, რითაც მდიდარია მაშინდელი ეპოქა. ფეოდალიზმი, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი ირღვევა, მაგრამ ფეოდალური პოლიტიკა, პოლიტიკა პირადი გამორჩენის, გრძელდება. ეს ხაზი თანდათან ხდება გაბატონებული წოდების კოლექტიურ ხაზათ და ბოლოს ის ყალიბდება თვით ამ კოლექტივის ჩამოყალიბებით. მსგავსთ რუსეთის თავად-აზნაურობისა“.

ეს, ბეჩავო ისტორია, ამუჩად ავდებულო სიმართლევ!

რუსეთმა დაიმორჩილა მთელი საქართველო. მოსხმ ბაგრატიონთა ტახტი ყველგან. ვის უნდა ეწარმოებია ეს „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“? რომელი დაპყრობილი ქვეყანა აწარმოებდა ან აწარმოებს საგარეო პოლიტიკას? ასეთი არა ჩვეულებრივი ქვეყანის შესახებ არაფერი გვსმენია! როგორ შეეძლო დაპყრობილ, დამონებულ საქართველოს ეწარმოებია „ნაციონალური საგარეო პოლიტიკა“? ეს ბ-ნ ნ. ე.-ს საიდუმლოებაა და ალბად მას ჰგონია, რომ ბ-ნი ნოე ეორდანია ეხლა აწარმოებს საქართველოს საგარეო პოლიტიკას (სხვათა შორის: ყოველი საგარეო პოლიტიკა ნაციონალურია და არა-ჯანდაბური!). როგორი თავის მოტყუებაა! — საგარეო პოლიტიკის წარმოება. შეუძლია მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოს და დაპყრობილი ერი, სხვათა შორის, იმისთვის საც იბრძეის, რომ ამ საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალება ალიდგინოს, სუვერენული გახდეს, სახელმწიფო შეიქმნეს. ამის გულისათვის ბრძოლის მთავარი საშუალებაა: ლეგალური გზით, როცა დამპყრობ ქვეყანაში პარლამენტია და არალეგალური გზით, როცა დაპყრობილს. ხმის ამოღება არ შეუძლია; ან ორივე გზით. ჩვენ აქ არ ვეხებით ომისა და რევოლუციის მიერ მოცემულ შესაძლებლობას.

აჯანყებისა და შეთქმულების გზა ქართველმა ერმა არა ერთჯერ სცადა და დამარტებდა; რუსეთის თვითმმკვრობელობის პირობებში კი, მაშინ, ლეგალური გზით ბრძოლა შეუძლებელი იყო. ერთად ერთი ვინც დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა — ეს ყო ემიგრაცია. მაგრამ მთავარი ემიგრაცია რუსეთში იყო დამშული და იგი 1832 წლის შეთქმულობაში აქტიურ მონაწილეობას მაინც ღებულობდა; საზღვარგარედ გარდახვეწილები კი ახდილ ბრძოლის მართლაც ეწეოდენ; ეს, იყო ბატონიშვილი ალექსანდრე; იმერეთის მეფე სოლომონ მეორე; გურიის დედოფალი სო-



ფიო. და შემდეგ იმერეთის ბატონიშვილი თავის უფლებებს პასარგადის ეძებდა!

საქართველოში მყოფ თავადაზნაურობას რა საგარეო პოლიტიკა უნდა ეწარმოებია? მისმა ღილა უმრავლესობამ იარაღით იბრძოლა, დამარცხდა და შემდეგ ახალი გზით დაიწყო სიარული. ხელმძღვანელობის მთელი მუშაობა გადავიდა ეროვნულ-კულტურულ ასპარეზზე. მთელი თაობანი მუშაობდენ ამ სარბიელზე შეეხერებლივ, უანგაროდ. რა შეუშია აქ „ფეოდალური პოლიტიკა“? რა შეუშია აქ პოლიტიკა „პირადი გამორჩენის“? ან რა სათქმელია, რომ „საქართველოს საგარეო პოლიტიკა ჰქარგავს ნაციონალურ ელფერს და ხდება თავადაზნაურობის ინტერესების დაცვათ რუსეთის მთავრობის საშუალებით“ -ო. ?!

საქართველოს, უფრო სწორედ, ქართული სამეფოების პოლიტიკა მოკვდა ამ სამეფოების სიკედილთან ერთად, და თავადაზნაურობის ინტერესები კიდევ, საქართველოს არ-არსებულ საგარეო პოლიტიკაში არ გამოიხატებოდა, — და თუ თვითმპყრობელი რუსეთი, განსაკუთრებით ვორონცოვის დროს, და მის შემდეგაც თავადაზნაურობას იცავდა, უპირატესობას აძლევდა, ეს მისი პოლიტიკა იყო, რათა ქართველი თავადაზნაურობის უკმაყოფილება შეენელებია და შეეხერებია. ამისი საბუთი ბევრია, როგორც ოფიციალური, ისე არა ოფიციალური. რომ ქართველი თავადაზნაურობა საერთოდ არ იყო, რუსეთის გულშროფელი ერთგული და აბსოლუტური მომხრე, ამას ამტკიცებენ ოფიციალური მოხსენებანი მეფისნაცვლების, მთავარმართებლების, გუბერნატორების, რომელთა საიდუმლო მოხსენებებში მეტად ხშირადაა ნათქვამი, რომ ქართველი ხალხი არ არის სანდო, რომ იგი სეპარატისტულია, ოცნებობს საქართველოზე; განსაკუთრებით ნდობის ღირსი არა ქართული ინტელიგენცია, „მაღალი წრეებიც, რომელნიც გარევნულად დიდი ერთგულებით ეპყრობიან თვითმპყრობელობას, საეჭვოა“... შეიძლება ეს გადაჰქარბებაც იყოს, მაგრამ მმართველთა ასეთი შეხედულება ხომ ფაკტია!

ისტორიული ფაქტია: გაიხადა რა საქართველო თავის ბაზად, რუსეთმა განაგრძო კავკასიის დაპყრობა. ამ დაპყრობაში მონაწილეობას ქართველებიც ღებულობდენ და ამის ერთ-ერთი მოტივი ჩვენ გრიგოლ ორბელიანმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა გვაძლინ: შურს ვიძიებთ იმ ხალხებზე, ვინც ჩვენს ქვეყანას ამდენი უბედურება თავს დაატეხესო!

შემდეგ ბ-ნი ნ. ქ. მოგვითხრობს 1837 წლის და 1854 წლის ომის ამბებს და ბრძანებს; —

„ამ საერთო ეკროპიულ დავაში საქართველოს ხმა არ ისმის. ქართველი მოღვაწენი არა ჩანან და არ იცავენ ყოველ შემთხვევაში ერეკლე მეფის რუსეთთან დადებული ტრაქტატის ხლშეუხებლობას. ეგვე განმეორდა ყირიმის ომის დროს 1854 წ., როცა კავკასიის ირგვლივ დიდი ომი



გაჩაღდა და შავ ზღვაზე გამოვიდა ინგლის-საფრანგეთის ესკადრის მიერთებულ სეთის წინააღმდეგ“.

როგორ ვიფიქროთ ეხლა?: შეეძლო დაპყრობილ და დამონებულ საჭარველოს „ამ საერთო ევროპიულ დავაში“ ხმა ამოელო? — ჩვენ ვფიქრობთ: არა. — „ქართველი მოღვაწეები არ სჩანან“-ომ! — ღმერთო შეგცოდე, რომელ მოღვაწეებზე ლაპარაკობს აქ ავტორი? მთელი მებრძოლი თაობა, რომელმაც 1832 წლის მარცხი განიცადა, გადასახლებიდან ეხლახან ბრუნდებოდა, ოპზიციას რუსული არწივის კლანჭებში სული ეხუთებოდა და ბ-ნი ნ. ქ. კი ამბობს: 1837 წელს საჭარველომ და მისმა მოღვაწეებმა ხმა არ ამოიღესო? რატომ არდგენს ბ-ნი ე. ისეთ დებულებას, რომელსაც ისტორიულად არავითარი გამართლება არა აქვს ან რა უფლების ძალით უყენებს იგი ბრალდებას ამ ხანის თაობას?? ეს ხომ განგებ და განზრახ წარმოდგენილი ბრალდებაა, რომ შედგე სთქვას — არავინ ზრუნავდა საჭარველოს საგარეო პოლიტიკაზე, მხოლოდ ჩვენო!

ყირიმის ომი! ევროპის სახელმწიფოებმა მთელი კამპანია მოაწყეს რუსეთის წინააღმდეგ. ამ ამბავთან დაკავშირებით ბ-ნი ნ. ქ.-ას მოჰყავს მარქსი და მოაქვს მისი აზრიც :

„ოსმალეთი იძლევა წინადადებას საჭარველოს ოკუპაციისას და ამ გზით ყარისიდან და მით მთელი ამიერ-კავკასიიდან რუსის ჯარის გარეკისას. საფრანგეთი მხარს უჭერს ამ პროექტს, ინგლისის სამხედრო მინისტრი წინააღმდეგია იმ მოსაზრებით, რომ მტრის ტერიტორიაზე ჯარის ექსპედიცია ხაფანგიაო. მარქსი თავის წერილში ებრძეს ამ შეხედულობას და ამბობს, რომ მინისტრს შეიძლება „საჭარველო მართლა მიაჩნია მტრათ და არა მეგობრათ, ის საჭარველო, რომელიც წარმოდგენს კავკასიაში რუსეთის პოლონეთს. ოსმალეთის პროექტი არის მთელი შინაარსით გაბედული, კარგათ დამწიფებული და შეიძლება ერთათ-ერთი სტრატეგიული იდეა, რაც ამ მშამ მოგვცა“. შემდეგ ავტორი იძლევა თავის პლანს: ჯარის გადასხმა სამეგრელოში, დაჭრა ქუთაისის, წასვლა ტფილისზე და რუსის ჯარის განდევნა და სხ. იბადება საკითხი: ვინ იყო მართალი, ინგლისის მინისტრი თუ მარქსი? უკველია ცირკელი, საჭარველო ამ დროს იყო „მტრის ქვეყანა“, ხოლო მარქსი გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ დაპყრობილი ერი არ შეიძლება იყოს დამტყრობელის ერთგული, ინგლისს ქონდა რასაკვირველია, თავის დიპლომატიური აგენტებისაგან ცნობები, რომ ქართველი თავადაზნაურობა იბრძეს რუსის გვერდით და მაშასადამე მოკავშირეთა დასაყრდნობი ბაზა ამ ქვეყანაში არ მოიპოვება. ამავე დროს მოკავშირეთა აგენტები მუშაობდენ აბხაზეთში და სამეგრელოში, მაგრამ სამეგრელოს დედოფალის ეკატერინეს გული ვერ მოინადირეს. ცნობილია მისი პასუხი მათდამი: „ვერ უღალატებ ჩემს. ხელმწიფე იმპერატორსო“. მას აზრათაც არ მოსვლია



მოეთხოვა სამეგრელოს ავტონომიის საერთაშორისო ცნობა, მაიც... დღე უკავა
იმიტომ, რომ ის უყურებდა თვეის ქვეყანას არა სახელმწიფოს, ქონის ფერდ
ფერდალური თვალსაზრისით. ქვეყანა ეკუთვნოდა მას კერძო საკუთრე-
ბის საფუძველზე, რომელსაც მართავს, გაყიდის თუ გააქირავებს თანა-
ხმათ თვეის რეგანური ინტერესებისა. ამით აისხება ისიც, რომ როგორც
სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე ნიკოლოზი გახდა სრულწლოვანი, მან
რუსეთის მთავრობას მიყიდა ფულზე ყველა თვეისი უფლებები და თვი-
ოთონ გადადგა. სამეგრელო პოლიტიკური ერთეულიდან უცებ გადაიქცა
აღმინისტრატიულ ერთეულათ, მაზრათ, მაზრის უფროსის სამართვე-
ლოთ. ე. ი. ფერდალური პოლიტიკა პრაქტიკულათ ხორციელდებოდა მე-
სამოცუ წლებშიაც და ეს არავითარ პროტესტაც კი არ იწვევს საზოგა-
დოებაში!..."

ჯერ გაკვრით: აი ,როდის გაიხსენა ბ-ნმა. ნ. ქ.-მ მარქსი! 40 წლის
განმაელობაში სწერდენ ჩვენში მარქსისტები, სწერდენ მარქსზეც. მაგ-
რამ როდის ან სად გაუმხელიათ, რომ მარქსი საქართველოს საკითხს ასე
უყურებდა, ან თუ იცოდენ ეს?

მაგრამ თვეისთავად სამეგრელოს საკითხი საინტერესოა და ნაკლება-
დაც ცნობილი. ამიტომ ჩვენ შემდეგ წერილში მას დაწვრილებით შე-
ვეხებით და მკითხველს მოვუთხრობთ სამეგრელოს ამ ხანის ისტორიას და
არა ზღაპარს....

ვიკ. ნოზაძე

მთავრობის საპითხის გამო

ჩვენი წერილის იმ ადგილმა, ჩომელიც მთავრობის საკითხს შეეხე-
ბოდა, ერთგვარი გაკირვება გამოიწვია და საკვედურითაც კი მომმარ-
თეს, რომ მე საქმის ვითარებას კარგად არ ვიცნობ და ტუუილად მოვუ-
წოდებ სხვებს შემოკრებენ ეროვნული მთავრობის გარშემო, თუ იგი
ეროვნული მიზნების სიმაღლემდე ავა და პარტიულს დაუქვემდებარებს
ეროვნულს.

უნდა აღვიარო, რომ ემიგრაციის ცენტრიდან შორსმყოფობის გამო,
ჩვენ მართლაც ახლოს არ ვიცნობთ საქმის ნამდვილ ვითარებას, მაგრამ
ჩვენი ზემოაღნიშნული დებულება სრული, სისწორით გამომდინარეობ-
და ეროვნული ბრძოლის ლოდიკიდან. მართლაც ხომ ასე იყო: დამფუ-
ძებელმა კრებამ უკანასკნელ წუთებში დაავალა ნოე ქორდანის მთა-
ვრობას. უცხოეთში განეგრძო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის
ბრძოლა. ჩვენი კრიტიკული დამოკიდებულება ამ მთავრობისადმი მით
იყო გამოწვეული. რომ ეს მთავრობა ამ ბრძოლას პარტიული ხაზით აწა-



რმოები; როგორ იგი ვერ სცილდებოდა მეორე ინტერნაციონალის დაზღვეულია
ნერგულის; რომ მან შემოიფანტა და დაქამაქა ეროვნული ძალების; რომ
მან ამაგი და ორჭოფი ტაკტიკის გამო არევდარევა შეიტანა ამ ბრძო-
ლის ფრონტში; რომ იგი „ჩაწყობის“ გზით ეკვეთა ყველა თავის მოპირ-
დაპირე ძალებს, ხელოვნურათ მისი ულაზათო ტაკტიკის მიერ შექმ-
ნილთ, — თუ საერთოდ არ მოვიხსენიებთ იმ მარცხებსა და დამარცხე-
ასეთი იყო ჩვენი კრიტიკის საკითხები, — თორებ თვით მთავრობის არ-
ბებს, რომელიც მას არც ამ ემიგრაციაში ყოფნის დროს მოჰკვებია-
სებობის ან არ-არსებობის საკითხი ჯერ არ ყოფილი ჩვენ მიერ წარმოდ-
გენილი. უორდანის ემიგრაცია (და არა ვინმე სხვა) მაინც მთავრობად
აღიარებდა ეს იგი საქართველოს ეროვნული სუვერენობის მატარებე-
ლად და მისთვის შებრძოლად. ყველას ასე გვქონდა გაგებული, რომ ეს
მთავრობა არსებობდა და იგი მცირე სარბიელზე, რომელიც მას დაურჩა
თუ არ აკეთებდა რაიმეს, არ ახდენდა მაინც.

აღმოჩნდა, რომ ეს ასე არა ყოფილა. — ჩვენთვის ეხლა გამოირჩეა
(და ალბად არც ბევრმა სხვამ იცის!), რომ ჩვენი ეგრედ წოდებული მთა-
ვრობა თურმე არც არსებულა და საქართველოს სუვერენული მატარე-
ბელი მთავრობა დიდი ხანია არც გამჭრალა! — კიდევ მეტიც!: საქართვე-
ლოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც ზარბაზნების გრიალის
დროს იქმნა დამტკიცებული, და რომელსაც ჩვენ ვსცნობდით, — თურმე
ისიც მოსპობილი ყოფილა!

და ყველაფერი ეს როგორ მოხდა, რომ ემიგრაციის ფართო წრეებმა
ამის შესახებ არაფერი იციან? როგორ მალულად და საიდუმლოდ გა-
აუქმეს ეს მთავრობა და როგორ გამოუყვანეს წირვა საქართველოს კონ-
სტიტუციას?

ამა წლის აპრილის „დამოუკიდებელი საქართველო“ (№100) მკით-
არწმუნებს. რომ კონსტიტუცია არამც თუ არსებობს, სავალდე-
ბულოურაა იგი ჩვენთვის! აი რასა სწერს მეთაურში: — „მტერმა შე-
აჩერა ის (სახელმწიფო, კონსტიტუცია), ულელი დაადო თვით ერს, მაგ-
რამ ჩვენთვის დღესაც სავალდებულოა, როგორც გუშინ, ერის უზენაესი
ნებისყოფა, მისი კონსტიტუცია“...

ეგრეთ წოდებული სოც.-დემ. ორგანიზაციების კონფერენცია (ნამ-
დვილად კი სოც. დემ. პარტიის ერთი ნაწილის უბრალო კრება) აი რას
ამბობს „ნაციონალური მთავრობის“ შესახებ:

საქართველოს ნაციონალური მთავრობა უცხოეთში გადმოხვეწილი
და თავის ქვეყნისთვის მომუშავე, წარმოადგენს ერთს იშვიათ მოვლენას
ხალხთა ისტორიაში. არც ერთს დაჩაგრულ და დაპყრობილ ხალხებს არ
შერჩენიათ დიდ ხანს თავისი დამოუკიდებლობის იურიდიული გამოხა-
ტულება, თავისი ნაციონალური ხელისუფლება, რომელსაც შესძლებოდა

ხანგრძლივად წარმოდგენა თავისი სამშობლოსი უცხოეთში და თვის უკან დარაზმევა თავის ერის“ — აბა უსმინეთ ამ კილოს! ისეთი ტანისამა: დაწერილი, თითქო დიდი სასახელო და საქებური ამბავი მომხდარიყოს: ისეთი ენითა აქ დახატული ეს ამბავი, თითქო ამის გულისათვის მაღლობაც კი უნდა ვუთხრათ ნოე ქორდანიას. — ფაქტოურად მდგომარეობა სხვაგვარია: უცხოეთისათვის ეს მთავრობა დიდი ხანია რაც არ ასებობდა და თუ პარიზში ფორმალურადაც საქართველოს საელჩო მაინც სულს იბრუნებდა, ეს იყო არა ქორდანიის მთავრობის ცნობა, არამედ საქართველოს სუვერენობის გამომხატველის ელჩის ცნობა, თუმცა, როგორც ვიცოდით, მხოლოდ დროული, სანამ არავის აწუხებდა.

ამ „იშვიათ მოვლენას“ — საქართველოს მთავრობას ვცნობდით ჩვენ და მოვსთხოვდით ასულიყო იგი „ისტორიულ დანიშნულებამდე“! მაგრამ სინამდვილეში: ეს მთავრობა ასცდა ამ დანიშნულებას და პარტიულ ბიუროში ჩაიკეტა. ჩვენ მოვითხოვდით გამოსულიყო იქიდან, მაგრამ ჩვენი მოთხოვნა თურმე ზედმეტი იყო; ზედმეტი იყო იმიტომ, რომ აღარც მთავრობა არსებულა და აღარც კონსტიტუცია.

რას ამბობთ, ბატონო! — გაკვირვებით იკითხავს ჭითხველი — და ჩვენ მზად ვართ ეხლავ, წარუდგინოთ მას ამის შესახები საბუთი.

ნოე რამიშვილის ტრალიკული სიკვდილის შემდეგ, პოლიტიკურ წრებში რაღაც არევდარევა და შიშიანობა დაწყებულა! როგორც ეტყობა: კრება კრებას მოჰყოლია და ამის შედეგად დაბადებულა შემდეგაცირკულიარი: — „თანახმად ჩვენი კონსტიტუციის მე-70 მუხლისა მთავრობის თავჯდომარე არის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი, ის ნიშანას უცხოეთში ელჩებს, უძღვება მათ მუშაობას, ასრულებს კანონებსა და დადგენილებებს, ახდენს სამმართველოს სხვა და სხვა დარგის რევიზიას და სხვა... ჩვენს პირობებში მხოლოდ ამ მუხლის ამჟამავება შეიძლება მთელი კონსტიტუციიდან. დანარჩენ მუხლებს აღარარეალური საფუძველი,

„მაშასაღამე თავჯდომარე თავის ხელში იღებს მთელ საგარეო მუშაობას და მას ხელმძღვანელობს თავის ოფიციალური თუ არა ოფიციალური წარმომადგენლების საშეალებით.

„მთავრობა როგორც კოლეგია რჩება თავის აღვილზე და ატარებს თავჯდომარის პოლიტიკას. ის წარმოადგენს ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს, რომლის თვითეული წევრი ვალდებულია თავის მოქმედებაში იხელმძღვანელოს არა პირადი, არამედ მთავრობის პილიტიკით, ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს სამინისტროები, არც დეპარტამენტები, არც მათი კანცელორია, ამიტომ მთავრობის წევრი არის არა მინისტრი, არა ამა თუ იმ დარჯის მართველი, როგორც ეს ნორმალურ საქართველოს პირობებში ვვქონდა. არამედ მხოლოდ წევრები ნაციონალური მთავრობის,

გაიგეთ ბატონებო, რა მომხდარა?!

ეს საბუთი რომ ბ-ნ ნოე ყორდანისა განკარგულება იყოს მარტო, — კიდევ პო, მაგრამ ამ დოკუმენტს ადასტურებს და კვერს უკრავს გერმანიულებული პარტიათა წარმომადგენლების ცენტრი (27 დეკემბერს, 1930 წელში). — რას გვეუბნება ჩეენ ეს ცირკულიარი?

ჩეენი კონტიტუციის თანახმად, მთავრობის თავჯდომარე არის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი. თუ კონსტიტუცია ჩეენთვის ძალაშია, მაშინ ეს მუხლიც (70) ძალაშია. მაგრამ ნოე ყორდანისა ცირკულიარი ამბობს, რომ „დანარჩენ მუხლებს აღარა აქვთ რეალური საფუძველი“-ი. გაუგებრობაა აյ თუ თავის მოტყუება? ან კონსტიტუცია ძალაშია და მას აქვს ჩეენთვის რეალური საფუძველი, ან მას ასეთი არაფერი არ აქვს და მაშასადამე, აღარც ეს მე-76 მუხლი იმოქმედებს და ამ თავისი ცირკულიარით ბ-ნი ყორდანია „საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლად“ თავს ვეღარ გაასაღებს. მაგრამ ჩეენი კონსტიტუციის ძალით მთავრობის თავჯდომარე ხომ ამასთანვე არის რესპუბიკის უმაღლესი წარმომადგენელი?! რა საჭირო იყო ამ მე-78 მუხლის მოყვანა? რისი ვულისათვის? ან რატომ მთლიანად არ გაღმოვცეს იგი ცირკულიარში? ან ვინ მისცა ბ-ნ ყორდანისა უფლება თავის ხელში აეღო მთელი საგარეო შეზაბა? რომელ მუხლში სწერია ეს?

მადლობა ლმერთს: კონსტიტუცია დაბეჭდილია და არა მარტო ბ-ნ ყორდანისა ზანდუქში ჩაკეტილი. რას ამბობს ეს კონსტიტუცია მთავრობის ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ?

მუხლი 66: — აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.

მუხლი 67: — მთავრობის თავჯდომარე (პრეზიდენტი) ირჩევა ერთა წლით პარლამენტის მიერ. იგივე პრეზიდენტი არ შეიძლება შემდეგშივე აირჩის.

მუხლი 68: — სხვა მინისტრები, მთავრობის წევრები, მოიწვევიან ხელისუფლებაზე პრეზიდენტის მიერ, რომელიც მათ ირჩეს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე მოქალაქეთაგან.

მუხლი 69: — მთავრობის წევრებს არ აქვთ უფლება აღასრულონ სხვა რამეტ ფუნქცია ან პროფესია. მათ შეუძლიათ იყონ მხოლოდ წევრები პარლამენტისა ან ერობის საბჭოსი.

და ბოლოს ჩეენთვის საინტერესო მუხლი 70, რომელიც ნ. ყორდანისა თავის ცირკულიარში მოჰყავს: —

მთავრობის თავჯდომარე არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომად-

გენელი. იგი ნიშნავს საქართველოს წარმომადგენლებს უცხოში საჭარბელოს ხელმწიფო ბან და მის წინაშე არიან წარმოგზავნილი ამ უცხოეთის წარმომადგენლები. ხელის შეშლის გამო, მთავრობის გადაწყვეტილების არ - ქონების დროს, თავჯდომარეს შეუძლია არაჩეულებრივი ტიტრით, მიმართოს რესპუბლიკის სამხედრო ძალას, მაგრამ დაუყონებლივ აცნობოს პარლამენტს. კანონებისა და მათი შესახები დაღენილებების აღსრულებისათვის, გამომდინარებენ მთავრობის თავჯდომარისაგან, რომელსაც არა აქვს უფლება შეაჩეროს კანონის მოქმედება ან ხელი შეუშალოს მის აღსრულებას. თავჯდომარეს აქვს უფლება დანიშნოს არაჩეულებრივი კონტროლი სხვა და სხვა საჯარო აღმინისტრატიული დეპარტამენტებისათვის ან აღვილობრივი აღმინისტრაციისათვის ან რევიზიისათვის განსაკუთრებულ საქმეებში კანონით გადაწყვეტილი წესის თანახმად. თავჯდომარეს არა აქვს სხვა რაიმე უფლება გარდა იმი-შესაძლებელია თუ არა ის, რაც ამბობს ბ-ნი უორდანია თავის ცირკუ-

აი, ასეთი გრძელი არის ეს მე-70 მუხლი და აბა ეხლა ვიკითხოთ — ლიარში? იქ კი ის ამბობს, რომ „ჩვენს პირობებში მხოლოდ ამ მუხლის სა, რაც მინიჭებული აქვს კონსტიტუციის მიერ.

ამუშავება შეიძლება მთელი კონსტიტუციიდან“-ი. ბ-ნი უორდანია ამბობს, რომ ეს შეიძლება და „დანარჩენ მუხლებს აღარა აქვთ რეალური საფუძველი“-ი.! კარგი და პატიოსანი! მაგრამცირკულიარის ზემოდ-მოყვანილ წინადადება რომ მოსდევს შემდეგი წინადადება: „მაშასადამე თავჯდომარე თავის ხელში იღებს მთელ საგარეო მუშაობას და მას ხელ-მძღვანელობს თავის ოფიციალური თუ არა ოფიციალური წარმომად-გენლების საშუალებით“-ი — ეს რომელ მუხლზეა დამყარებული!? ნოე უორდანია ემყარება მე-70 მუხლს. ეს მუხლი ჩვენ სავსებით მოვიყვანეთ და იქ ამის მზგავის არაფერი არის თქმული. მაშ საიდან მოქმედს ეს ამბავი. რომლის მიხედვით ბ-ნ უორდანიამ მთელი საგარეო მუშაობა“ ჩაიბარა?! დაბეჭდილი და დამტკიცებული კონსტიტუციის ასე უკანონოდ გამოყენება აღნად შეიძლება და ამას ბ-ნი უორდანია და პოლიტიკური ცენტრი არ ერიდება... სიყალბესაც სჩაღის.

ჩვენ ვსთვით: ან კონსტიტუცია არსებობს ჩვენთვის და სავალდებულოცაა. როგორც ამას ამბობს უურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, ან იგი არ არსებობს სრულიად. თუ იგი არსებობს, მაშინ ბ-ნმა ნ. უორდანიამ კონსტიტუცია დაარღვეოს და მაშასადამე იგი უნდ იქმნეს პასუხისმგებაში მიცეული 75 მუხლის მიხედვით — პარლამენტის მიერ. სადა ეს პარლამენტი? — შესანიშნავი თამაშა გამოდის, არა!?

რა გვიკირს. კეთილყოფაში ვართ და ბ-ნ უორდანია თავი გაირთოს. დასტრიას და შეპეროს ქალალდებული თავისი ლცნების კონსტიტუცია და ლიქტატურაც გამოაცხადოს! მაგრამ „დამოუკიდებელ საქა-

დებენ და სხვას ის უთხრას რასაც თვითონ აკეთებს.

ცირკულიარი საინტერესოა თავისი ფსიქო-პატალოგიური ხასიათით, პოლიტიკური ღომხალით და აზროვნების სიბერიაზით. აბა რას ნიშნავს ეს? — მთავრობა როგორც კოლეგია რჩება თავის ადგილზე და ატარებს თავჯდომარის პოლიტიკას „ან მთავრობა არის კოლეგია, რომელსაც შეუძლია რომელიმე საკითხზე იმსჯელოს, იაზროვნოს, და გადასწყვიტოს ყოველი საკითხი, ისე როგორც ამას ყოველი კოლეგია შვრება, — ან იგი არ არის კოლეგია და არის უბრალოდ თავჯდომარის პოლიტიკის გამტარებელი. მაგრამ თუ ეს კოლეგია „ატარებს თავჯდომარის პოლიტიკას“, მაშინ ეს რაღას ნიშნავს?: „ის (მთავრობა) წარმოადგენს ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს, რომლის თვითეული წევრი ვალდებულია თავის მოქმედებაში იხელმძღვანელოს არა პირადი, არამედ მთავრობის პოლიტიკით“! წინა წინადადებაში ნათქვამი იყო, რომ მთავრობა „ატარებს თავჯდომარის პოლიტიკას“, მეორე წინადადებაში კი ამბობენ, — „თვითეული წევრი (მთავრობისა) ვალდებულია.. იხელმძღვანელოს... მთავრობის პოლიტიკით“... ესე იგი მთავრობა ყოფილა მარტო ნოე ჟორდანია! მაშ ვიღა არიან სხვები? ან რატომლა არის ეს კოლეგია?

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-73 მუხლის ძალით კი „მთავრობის თვითეული წევრი წარმართავს მისთვის მინდობილ სამინისტროს ერთგვარად დამოუკიდებლად და მხოლოდ თავისი პირადი პასუხისმგებლობით პარლამენტის წინაშე“... მართალია, ნ. ჟორდანიამ სამინისტროები აღარ სცნო, მაგრამ ეს მთავრობას წევრები ხომ არსებობენ და ისინი მისი ყურმოჭრილები უნდა იყვნენ და მას დაემორჩილონ. სასაცილოა, რომ მეტად სამწუხარო არ იყოს, აქ, ამ გარდა ხელილობაში დიქტატურობის თამაში!

რას გვეტყვის ჩენ დღეს „დამოუკიდებელი საქართველო“, რომელიც მარტო ჩვენთვის ახდის კონსტიტუციის სავალდებულოდ!

შ. მალლაკელიძე

ჩართული მარტობის შესახებ ზრანშულად

J. Karst: Prof. des Langues et Littératures Orientales à l'Univ. de Strasbourg: Littérature Géorgienne chretienne.. Librairie Bloud et Gay. 1934.

დიდი ხანია არ დაწერილა ფრანგულ ენაზე უცხოელის მიერ მეცნიერული შრომა კულტურის რომელიმე დარგში საქართველოს შესახებ, თუ არ ბ-ნ ბრიერის ქართული ენის გრამატიკა. ამის მიზეზი ბირველ

ყოვლისა ჩვენ, ქართველებს გვედება: არ ვაწარმოებთ არავითარ უქრა-
ოშულ პროპაგანდის ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ. ამიტომ მით უფ-
რო დიდი ღვაწლი მიუძღვით იმ იშვიათ უცხოელებს, ვინც ჩვენს დაუ-
სმარებლივ ეცნობიან ჩვენს კულტურას, სწავლობენ, იკვლევენ მსა და
აცნობენ თავის ქვეყანას. ასეთია ბ-ნი კარსტი, სტრასბურგის უნივერსი-
ტეტის პროფესორი, რომელმაც ამას წინად გამოუშვა წიგნი: „ქართული
ქრისტიანული ლიტერატურა“, ავტორის სიტყვით, „ეს შვენიერი და მნი-
შვენელოვანი ლიტერატურა ამ ვაჟკაცური და რაინდი ერის“—ა.

არსებითად ეს შრომა წარმოადგენს მეთოდიურად გადმოცემულს
ჩვენი ლიტერატურის ისტორიას, როგორც სასულიერო ისე საერო დარ-
გში და აგრეთვე მოცემულია ჩვენი მწერლობის ისტორიოგრაფია. ეს
წიგნი მოკლე სახელმძღვანელოა, — იგი არც კი შეიცავს სრულ ორას
გვერდს.

ბ-ნი კარსტი ასცდა იმ სიძნელეს, რომელიც მოკლე შრომას ვრცელ
საკითხზე ჩვეულებრივად თან დაჰყვება. და იგი სტროვებს შთაბეჭდი-
ლებას ზედმიშევნით სრულადს და მკაფიოს. ეს შრომა იმით არის დასა-
ფასებელი, რომ მისი ავტორი აღმურვილია დამთავრებული ცოდნით სა-
ქართველოს კულტურისა და ლიტერატურის საკითხებზე. ავტორს ეტ-
ყობა, რომ სერიოზულად შეუსწავლია ყველა ჩვენი სალიტერატურო და
საისტორიო გამოკვლევა, მათში აღვილად გარკვეულა და მეტად ნიჭი-
ერად უსარგებლია.

წიგნი შესდგება ორი ნაწილისაგან: — პირველში ავტორი იხილავს
სასულიერო მწერლობას; მეორეში — საეროს. პირველ ნაწილში ის აღ-
ნიშნავს ჩვენი სულიერი კულტურის ცენტრებს — მონასტრები — და
მათ შემოქმედებითი მუშაობას ბიბლიურ-ლიტურლიულ, დოლმატიურ,
ჰაგიოგრაფიულ და სხვა. როგორც ორიგინალურ, ისე მთარგმნელთა
ბრწინვალე პლეადას. მეორე ნაწილში შესანიშნავ კვინტესენციას უკე-
თებს ყველა მნიშვნელოვან მწერალთა შემოქმედებას. ცნობილ და ავტო-
რიტეტულ მკვლევარებზე დაყრდნობით. ამის სანიშვნოდ შეითხველებს
მივუთითებთ სულ რვა გვერდზე დაწერილ შოთა რუსთაველის შესახებ
მონოგრაფიაზე.

მკითხველი ამავე ნაწილში გაიცნობს ქართული საისტორიო მწერ-
ლობის თანდათანობითი განვითარებას: — ავტორი ეხება „ქართლის
ცხოვრების“ შედეგნასა და ისტორიას, ვახტანგ მე-ნ-ის მოღვაწეობას;
შემდეგ ვახუშტის და სხვა მწერალთ.

წიგნი გარეგნულადაც მეცნიერულად არის დამუშავებული: შეიცავს
მნიშვნელოვან წყაროების ბიბლიოგრაფიას, გეოგრაფიულ ინდექსს, პი-
რების, სათაურების და ოქმების საძიებელს. და ბოლოს, დაბეჭდილის
სწორედ გაგებისათვის დამატებით შენიშვნბს.



ამ ნაშრომის მიხედვით უცხოელი მიიღებს შთაბეჭდილებას, გამოკვლეული ქართული ლიტერატურა, მთელ თავის გრძელ მანძილზე. ეტანება ძველ და თანამედროვე უცხოეთის საუკეთესო ნიმუშებს, მათ ღებულობს არა მექანიკურად, არამედ შეგნებითა და შინაგანი შეთვისებით, ეროვნულ სულიერ ნიადაგზე ნიჭიერად გარდაქმნისა და გადამუშავების საშუალებით. ამასთან ერთად რჩება შთაბეჭდილება ქართული ლიტერატურაზე, როგორც წმინდა ეროვნულზე.

ბ-ნ კარსტის მთელ შრომას ნათლად აზის ჩვენი კულტურის სიყვარულის დაღი; მოხერხებული შედარებებით — სადაც ხშირად უპირატესობას იძლევს ქართველ მწერლებს — ასე მაგალითად: ვის-რამიანი და ტრისტან და იზოლტა, „ტრუბადური“ საიათნოვა, რუსთაველი და დანტე, საბა-სულხან ორბელიანი და ლა-ფონტენი. იგი სცდილობს დააინტერესოს უცხო მწერლები, გაიცნონ ახლო და შეისწავლონ ჩვენი წარსული და ლიტერატურა. თვით ბ-ნი კარსტი იძლევა პრველ მაგალითს: ცნობილ ვახტანგის კანონების გამოქვეყნებით; უკანასკნელის სრული ტექსტი უკვე იძებედება ავტორის კრიტიკული შესწავლით.

ბ-ნი კარსტი დიდი მადლობის ღირსია ასეთ შესანიშნავი შრომის — დაწერისათვის, ჩვენი კულტურის უცხოეთის ასპარეზზე გამოტანისათვის.

3. ჯიბლაძე ..

სულხან - საბა გერმანულად

Die Weisheit der Lüge gesprochen von Sulchan-Saba Orbeliani; übersetzt aus dem Georgischen von Prof. Dr. M. Tsereteli. Einleitung von Dr Surab Avalischvili. Herausgegeben von A. Metreveli. Berlin.1933.

ბ-ნ ა. მეტრეველს მიზნად დაუსახავს გერმანელ მკითხველს მიაწოდოს ქართული ლიტერატურის ნიმუშები და ამისთვის მისი პირველი გამოცემა მიეძღვნა სულხან ორბელიანს. თუ შოთა რუსთაველს არ მივიღებთ მხედველობაში, არჩევანი მეტად კარგია და ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოცემაც ტექნიკურად ძეირფასად შესრულებულია. „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნი უთარგმნია ბ-ნ მიხეილ წერეთელს და უნდა ითქვას. დიდი ხელოვნებითა და ნიჭით. საბას მოკლე, სხარტული და გამოკვეთილი ქართული. ასე ძნელად გადასაცემი გერმანულ ენაზე, ზედმიწევნით დაცულია თარგმანში და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და უძნელესიც — ეს პუმორის გადმოცემა, აგრეთვე მიღწეულია. დიდი სიმოვნებით წავიკითხეთ გერმანულადაც საბას იგავ-არაკები და მადლო-

ბა ვიგრძენით მთარგმნელისადმი, რომელმაც ასე შეენიერად შეასრულა თავისი ძნელი ამოცანა.

თარგმანის წინასიტყვაობა და თვით საბას ბიოგრაფია, ეკუთვნის ბ. შიხ. წერეთელს, ხოლო ტექსტის განმარტებანი ანუ შესავალი ბ-ნ ზურაბ ავალიშვილს,

ჩვენ საესტებით ვიზიარებთ ბ-ნ წერეთლის შეხედულებას, რომ წიგნის სათაური უნდა თარგმნილიყო — „ვაისპაიტ ტერ ლუევ“ და არა როგორც რუსულად და ინგლისურად — „ქინგა მუდროსტი ი ლეი“ ან „დთი ბუუკ ოვ უისდომ ენდ ლაის“; — თვით ქართული სახელწოდება არ ამართლებს და არც შინაარსიც. რადგან საბას წიგნი მართლაც წიგნია სიცრუის სიბრძნის შესახებ.

ჩვენ გაგვაკვირვა ბ-ნ ზურაბ ავალიშვილმა. ჩვენ ვიცოდით, რომ იგი მეტად განსწავლული და დიდათ-დიდი ცოდნის პატრონი იყო, მაგრამ თუ იგავ-არაკებისა და ზღაპრების დარგშიც იგი ასეთი სპეციალისტი იყო, ამაზედ წარმოდგენაც არა გვქონდა. ბ-ნი ავალიშვილი იკვლევს წყაროებს და არჩევს იმ ჩარჩოს, რომელშიც საბას არაკები და ზღაპრებია მოქცეული; მისითვის იგი მიმართავს მსოფლიო ლიტერატურის ძეგლებს ამ დარგში. როგორც მაგალითად, ინდოეთის, სპარსეთს, არაბეთის, ოსმალეთის, საბერძნეთის, სირიულის, საერთოდ ევროპიულის და სხვა; გარჩეულია ყველა არაკი და გატარებულია პარალელი მზგავსთან უძველეს ლიტერატურაში თუ გადმოცემაში, და ბოლოს, ავტორი იმ დასკვნამდე მიღის, რომ ის, ჩაც ორბელიანშა დაამუშავა, ეკუთვნის არა ერთს, არამედ მრავალ ხალხს. მისი საკუთარი ერი, ქართველი ერი, წარმოდგენილია დიდათ-დიდ ლირებით მისი არა-ჩვეულებრივი ენის შეძლებით და მისი ლირსშესანიშნავი მწერლობითი ხელოვნებით. „მრავალი ძაფი, რომლითაც წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ გადაბმულია აღმოსავლეოთან, სულ ერთია, ქრისტიანულ თუ მუსულმანურ კულტურასთან, რა რომელიც მისი შინაარსის განხილვის დროს ასე გარკვეულად მოსჩანს, არაერთა შემთხვევაში არ ამცირებს არც მის გამოკვეთილ და მრავალფეროვან, წმინდა ქართულ სახეს და არც აზიანებს იმ შთაბეჭიროლებას, ამ შრომის უკან მდგომ ძლიერი პიროვნების (ორბელიანის) შესახებ“ - თ.

ვუსურვებთ ბ-ნ მეტრეველს ამ მიმართულებით შესძლებოდეს ამ წარმყების გაგრძელება.

ბ. ბებურიშვილი

შართული პროგლემის აპტულობისათვის

Georges Gvazava: La Phase actuelle du Problème Géorgien. Paris, 1934.

საქართველოს საკითხის ეხლანდელი ვითარება არის ბ-ნ გიორგი გვაზაევას ამ წიგნაკის საგანი. ავტორს-მოკლე და სხარტული მიმოხილ-



ვით გადმოცემული აქვს საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა, რაოდ მისი მნიშვნელობა, ისტორიული თავგადასავალი, რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება 1783 წ., საქართველოს ვითარება, როგორც პოლიტიკური ერთეულის, რუსეთის სახელმწიფო კანონში; შემდეგ გადმოცემულია დამოკიდებლობის აქტის მუხლები, აღნუსხულია საქართველოს იურიდიულად მცნობ სახელმწიფოთა სია, ნაჩვენებია რუსეთ-საქართველოს 1920 ხელშეკრულება, — მერმე მოხსენებულია 1921 წ. თავდასხმა და 1924 წ. აჯანყება; და დაბოლოს ავტორი ჩერდება ხალხთა ლიგის დამოკიდებულობაზე საქართველოსთან და ასკვნის, რომ საქართველოს საკითხი მჭიდროთ დაკავშირებულია კაცობრიობისა და ცივილიზაციის უმაღლეს ინტერესებთან. წიგნაკი დაწერილია ქართული საკითხის პრობაგანდის მიზნით და ამ მხრივ იგი კარგადაა შესრულებული. იგი გამოცემულია ხალხთა ლიგის საზოგადოებთა ქართული ასოციაციის

ინ. პაპუაშვილი

ქართული გამოცემანი

ვლაძა მგელაძე: 26 მაისი, პარიზი, 1934 წ.

ვლაძა მგელაძის ეს წიგნაკი, ძნელია რომელიმე ცნობილ ლიტერატურულ დარგს მიაკუთვნოთ. ეს არ არის მოგონებათა აღწერა, არ არის არც მხატვრული ნაწარმოები, — ორივე ერთად კი საკმაოდ შეზავებულია და ნახულ-გაგონილი, იმპრესიონიზმით არის გადმოცემული; აქაა გრძნობათა განცდების აღსახვა კაზმული სიტყვით და თვით სათაურით — 26 მაისი — ავტორს სურდა ეთქვა, რომ დიმიტრი ყიფიანის ტყილისში მოსვენება, სემინარს შევრდებს ვათვეა, ივანე კერესელიძის გარდაცვალება, ნიკ. ბარათაშვილის გადმოსვენება, ხელოსნობა-ამქრობის ქართული ამბები, სემინარის შევირდების აჯანყება, ალექსანდრე ყაზბეგის ვასეპენება, ეგნატე ნინოშვილის დასაფლავება, კრწანისის ველზე პანაშვიდი, გაბრიელ ეპისკოპოზის დაკრძალვა, რაფიელ ერისთავის იუბილე და სხვა და სხვა, იყო თარიღები, რდეს ამოძრავდა ქართველი ერის ეროვნული სულის გამოლენიების მამოწმებელი მოვლენები, რაც 26 მაისს წინ უძლოდა და მას ამზადებდა! წიგნი იკითხება აღტაცებით და მხურვალეთ ვურჩევთ ყველას, მათ, ვინც მომსწრეა ამ ამბავთა, გაიხსენონ ისინი, ხოლო ვრაც არა გაუკია რა მათ შესახებ, გაიგონ იგი! ხოლო ბ-ნ ვლაძა მგელაძეს უნდა ვსთხოვთ: მოგონებათა ასეთი მარმაროს ნატეხებით ნუ დაემაყოფილდება და ბევრის მომსწრე და თანამოზიარებ გადმოგვიშალოს გარდასულ თაობათა სრული და ნამდვილი, მართალი თავგადასავალი წარსულთა დროთ მანძილზე.

ალ. ასათიანი: ქართული პოლიტიკის ძველი და ახალი გზები. პარიზი, 1934 წ.

ალ. ასათიანის ამ წიგნაკის დანიშნულებაა ქართული პოლიტიკის

ძეელი გზები გაარკვიოს და ახალი ასახოს. ამ ისტორიულ-ანალიტულ
ნაწილში ავტორი ფართოდ უდგება საკითხს და ამბობს, რომ „უკანასკნე-
სკნელი საუკუნების გასწრივ ქართულ ეროვნულ მხელელობას სამი სა-
ხეობა ჰქონდა: პირველი ხანა, ოდეს დაკარგული თავისუფლებისათვის
იარაღით იბრძოდენ; მეორე — ოდეს სამოციანთა მეთაურობით დაი-
წყო ეროვნულ-კულტურული ალორძინებისათვის დაუდგრომელი მუ-
შაობა; მესამე — სოცილისტური მოძრაობა; მეორესა და მესამეს
ბრძოლის პროცესში წარმოიშვა სოც.-ფედ. და სოც.-რევ. პარტია, რო-
მელნიც მეორე დასს უახლოვდებოდენ თავისი ეროვნული პროგრამით
და მესამეს კი სოციალური საკითხების გეგმებით.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ზოგადი და ფართო შემოფარგვ-
ლა ამ ეპოქებისა, მხოლოდ პირობით თუ შევიძლია მიეკოლოთ, რო-
გორც ზოგადი თვალგადავლება, თორემ არსებითად ამ უკანასკნელი
საუკუნის განმავლობაში ასე პირწმინდათ ეს სამი დასი ერთი მეორეს
არ მისდევდა, და საზოგადოებრივი აზროვნების ეს სამივე სახეობა ერ-
თი მეორესთან თანაარსებობდა უკვე 60 წლებიდან, — ხოლო გამარ-
ჯვება უკანასკნელ დასს შერჩა მრავალ მიზეზთა გამო, წომელსაც
„ორნატი“ არა ერთხელ შეეხო.

შემდეგ ავტორი უდგება 1921 წლის მერმედ მომხდარ ამბებს, და
აქ იგი ხედავს. რომ წარმოიშვა ახალი მოძრაობა, ახალი სულით, —
არა პროგრამებითა და დოკტორებით შეიარაღებული, — არამედ შე-
ღებილი სისხლით ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამ ახალ მოვ-
ლენას ბ-ნი აღ. ასათიანი უწოდებს მეოთხე დასს.

შემდეგ ავტორი ეხება მარქსიზმს და უარყოფს მას, როგორც შეუ-
ფერებელს საქართველოსათვის, თუმცა სოციალისტურ მოძრაობას სა-
ერთოდ ბუნებრივად სოვლის. ეხლა კი, ავტორის აზრით, „ქართველი
ერის ცხოვრებაში მომხდარ მძლავრ გარდატეხებმა მოინელა და თავი-
დან მოიშორა მრავალი დოგმები და იდეები, რომელნიც შინაურ პო-
ლიტიკურ წყობას „შეეხებოდა“, — და ეხლა იგი სდგას რეალ ამოცანე-
ბის წინაშე ეროვნული მეობისათვის ბრძოლის ასპარეზზე: მისთვის
აღარ არის საკითხი დოქტორინებისა და დოგმების, არამედ არის ერთად
ერთი რეალური პოლიტიკა, რომელიც უნდა მიემართოს არსებული-
პირობების მიხედვით.

ავტორი ფიქრობს, რომ ახლო მომავალში მოხდება დასავლეთისა
და აღმოსავლეთის შორის დამოკიდებულების გარდატეხა და ამ შე-
მთხვევაში საქართველოსა და კავკასიის საკმაო დიდი როლის თამაში
შეუძლიათ, თუ ისინი ერთად იქნებიან. მისი აზრით „კავკასიაში თავს
იყრის აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზები არა მარტო გეოგრაფი-
ულად, არამედ სულიერად და კულტურულად. ის კიდევ გახდება მა-
თი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის გზა და ხიდი “-ო-

ეს თავის თავად საინტერესო საკითხია და გაბატონებული აწერთა აღმოჩენა
დულება კავკასიის შესაძლებელ როლზე მსოფლიო პოლიტიკის ზეპალ-
საზრისით. ეს შეხედულება ახალი არ არის, — მეტად შორეულ წარ-
სულში აქვს მას დასაბამი, — მაგრამ იქნებ ვითიქროთ ეხლა, რომ იგი
საესტი ჰქონდარიტი არ არის! იქნებ უფრო ახლო ლრმა შესწავლით
აღმოჩნდეს, რომ კავკასია დღეს უკვე აღარ არის დასაცლეთისა და აღ-
მოსაცლეთის გზა და ხიდი?! ჩენ დღეს მხოლოდ ეჭვს გამოვსთქვამთ
და ამ საკითხს მომავალში დავუბრუნდებით.

შემდეგ ბ-ნი ასათიანი გადაღის ემიგრაციის ამბებზე, აკრიტიკებს
ხელმძღვანელ პოლიტიკას, და საერთო მტრის წინაშე ერთი ფრონტით
წარდგომას მოითხოვს. ხოლო ამ საერთო ფრონტში მისი აზრით ად-
გილი არ უნდა ჰქონდეს იმ წრეს, „რომელიც კიდევ ვერ დასცილებია
საბოლოოდ მარქსისტულ იდეასა და მეთოდებს“-ო. ამ უკანასკნელთა
გარეშე გაერთიანება იქნება „მებრძოლი ერის ნაწილის, ქართული ემი-
გრაციის დამკვიდრება იმ საფუძლებზე, რომელზედაც არის დამყარე-
ბული საქართველოს მებრძოლი ფრონტი“-ო.

ს. ფირცხალავა: ისტორიული ლანდები, პარიზი, 1934 წ.

ავტორის განზრახვა იყო „პატარ-პატარა ამბების სახით, გავაცნოთ
მკითხველებს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მთავარი ეპიზოდე-
ბი... ეხლანდელი ქართველობის უდიდესი ნაკლია თავის ერის თავგა-
დასაცალის სრული უცოდნარობა და ამით მეტად შეფერხებულია,
როგორც ჩევნი საზოგადოებრივი, ისე ყოველდღიური ცხოვრება“ —
რაც სრული ჰქონდარიტებაა — და ამ მიზნით, ამ ხარების შესავებად,
ავტორს მოთხოვნილი აქვს „ისტორიულ ლანდებ“-ში : წმ. ნინოს
სიზმარი, არჩილის თავის განწირვა, ხავანის ტყვე, ბაგრატ მეოთხის
სიკვდილი, დავით ალმაშენებელი და ხოჯა იმრაპიში, ჯალალ-ედინ,
ცოტნე დადიანი, დიმიტრი თავდადებული და სხ. ესაა მოთხოვნა
საერთო ხასიათის, დიდი სიყვარულის გრძნობით გადმოცემული. მა-
გრამ ეს არ არის ის ისტორია, რომლითაც შესაძლებელი იყოს იმ გზის
გარკვევა, რაზეც ბ-ნი ავტორი ასე მსჯელობს სრულიად სამართლი-
ანად: „ადამიანები, რომელთაც არა უწყინან რა თავის ქვეყნის გარდა-
სრული ამბების, ვერასოდეს აწარმოებენ სწორს ეროვნულ პოლიტი-
კას და ვერც პრაკტიკულ უნარიანობას გამოიჩენენ, რადგან სინამდვი-
ლისაგან გარიყული არიან“-ო. ბ-ნ ფრცხალავას მაღლობა ეკუთხნის
ამ ნაშრომშათვის, რომელიც ბევრისათვის და განსაკუთრებით ახალი
თაობისათვის, საჭირო სახელმძღვანელოა.

ბ. ვარდანი

ფული და მასალები შემდეგი მისამართით უნდა გადმოიგზავნოს: —

M' AKAKI CHAVGOULIDZE
50, Rue Vauthier, Boulogne-sur-Seine, France.